საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 2 ლარი

№159-160 (10162-10163) 2026 წლის 12 ნოემბერი, ხუთშაბათი

„სტოკჰოლმის სინდრომი“, თუ?..



რატომ ითხოვს მიტროპოლიტი იოზი სააკაშვილის გათავისუფლებას?



ლევან ჯაფარიძე

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული დიდი მეცნიერი

აქვს თუ არა გეგმა „ბ“ ოპოზიციას, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მათ აკრძალავს?



წიგნი — ინოვაცია



მიწაზე დაბრუნება

ანუ ეკონომიკის მკაფიო ალგებრა



ვისთვის ისვრის რუსეთი მაშველ რგოლს?!

რატომ გააქტიურდა რუსეთი „3+3“ ფორმატზე და რა დგას შოიგუს განცხადების მიღმა?

ციტრუსი რაოდენობრივად ბევრია, მთავრობა ფერმერებს ნაწილობრივ დაეხმარება






ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი

თეა ფარულავა

10 ავსტრიიდან გვატყობინებს

ვინ გამორთო მაცივრები ევროპაში?!



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

რომან შაქარიშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRES.GE

საქართველოს რესპუბლიკა

ჩვენ და ისინი

№159-160. ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 2026 წელი



სასამართლომ ნიკუტა პროცესზე დააბრუნა, მაია კოპალეიშვილს კი შეურაცხყოფა არ აპატიეს!

პარტიების აკრძალვის შესახებ სარჩელის თაობაგე საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესგე „კოალიცია ცვლილებისთვის“ წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა პროცესიდან გაძევებული ნიკა გვარამიასა და მაია კოპალეიშვილის სხდომაგე დაბრუნების შესახებ

ეს შუამდგომლობა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარემ რევაზ ნადარაიამ სხდომაზე დაბრუნების ნება დართო **ნიკა გვარამიას, მაია კოპალეიშვილის** დაშვებაზე კი უარი თქვა.

რევაზ ნადარაიამ განმარტა, რომ **ნიკა გვარამიას** გაძევება უკავშირდებოდა მხოლოდ წესრიგის დარღვევას და სასამართლო მას კიდევ ერთხელ აძლევს შანსს.

„სასამართლოს არაერთი მითითების მიუხედავად, მან დაარღვია წესრიგი, შესაძლებელია, მიეცეს შანსი და შესაძლებლობა, რომ დაბრუნდეს და დაესწროს ამ პროცესს, წარმოადგინოს თავისი პარტია. ის, რომ მხარეს თავისი ტვირთი აქვს და უნდა დასვას შეკითხვები, გააკეთოს ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს დასკვნითი სიტყვა, არის პარტიის თავმჯდომარე და ა.შ. თვითონ მხარეა ვალდებული, გაუფრთხილდეს მის უფლებას, მისი უფლების რეალიზაციას სასამართლო სხდომაზე სწორედ წესრიგის დაცვით. ის, რომ მხარეს ამის უფლება აქვს, არ ნიშნავს, სასამართლომ ითმინოს ყველაფერი. ვინაიდან, გარდა წესრიგის დარღვევისა, სხვა საკითხს არ უკავშირდება ბატონი გვარამიას გაძევება, სასამართლო მისცემს მას შანსს, დაბრუნდეს სხდომაზე“, – აღნიშნა **რევაზ ნადარაიამ.**

რაც შეეხება მაია კოპალეიშვილს, რევაზ ნადარაიას განცხადებით, გარდა იმისა, რომ მან დაარღვია წესრიგი, ამავდროულად, ძალიან მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს, რაც ვერ ეპატიება. საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესი გრძელდება. სასამართლო კითხვა-პასუხის ეტაპზეა.



დავით სონღულაშვილი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად თურქეთში გაეროს კლიმატის ცვლილების 31-ე კონფერენციაში მონაწილეობს

ქალაქ ანტალიაში 9 ნოემბერს დაიწყო და 20 ნომბერამდე გასტანს COP31-ე კონფერენცია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს, მთავრობის წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კლიმატის საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულ მხარეებს აერთიანებს.

კონფერენციის მთავარი მიზანია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გლობალური ძალისხმევის გაძლიერება, პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფება სამუშაო ვიზიტით.

დავით სონღულაშვილი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ანტალიის ლიდერთა სამიტის ოფიციალურ გახსნით სესიას დაესწრო. სესიაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ **თაიფ ერდოღანი,** გაეროს გენერალური მდივანი **ანტონიუ გუტერეში** და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი **ენტონი ალბანეზე.**

„დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კლიმატის ცვლილებაა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსგავსი ტიპის ღონისძიებები. მისი მასშტაბურობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად დიდი გამოწვევაა ეს საკითხი და რამდენად მაღალია მის მიმართ მსოფლიოს ინტერესი. ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია 2035 წლისთვის აღებული ვალდებულება სათბურის აირების ემისიების 50%-ით შემცირების შესახებ. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმ პროცესისა, რომელიც სამოლოო ჯამში, მასშტაბურ რეფორმებს ითვალისწინებს და ამ მიმართულებით საქართველო საკმაოდ წინ არის წასული“, – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

კონფერენციის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **კლიმატის ცვლილების შერბილებას, ადაპტაციას, კლიმატის დაფინანსებას, სუფთა ენერგიაზე გადასვლას, სურსათის უსაფრთხოებასა და ზღვისა და ოკეანის ეკოსისტემების მდგრადობას.**

საქართველოსთვის COP31-ში მონაწილეობა მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების მიმართულებით ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და მიღწეული პროგრესის წარმოსაჩენად, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

საქართველომ 2026 წლის 25 მარტს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC 3.0) მესამე ციკლის დოკუმენტი დაამტკიცა. დოკუმენტის თანახმად, ქვეყანა იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის სათბურის აირების წმინდა ემისიები 1990 წლის დონესთან შედარებით 47%-ით, ხოლო 2035 წლისთვის 50%-ით შეამციროს. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს კლიმატმედეგი განვითარების ხელშეწყობასა და სხვადასხვა სექტორში ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერებას. ქართული მხარის პრიორიტეტებს შორისაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის დაფინანსების ხელმისაწვდომობა, კლიმატური ტექნოლოგიების განვითარება, სოფლის მეურნეობის, მათ შორის მევენახეობის, კლიმატური მდგრადობის გაძლიერება და კლიმატური პროექტების განსახორციელებლად საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მოზიდვა.

ხაშური-ოსიაურის გზაზე ავარიას 2 ახალგაზრდა ემსხვერპლა

შემთხვევა ხაშური-ოსიაურის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მოხდა. მსუბუქი ავტომობილი წყალმზიდ სატვირთოს შეეჯახა, რა დროსაც მსუბუქ ავტომობილში მყოფმა ოთხმა პირმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

არსებული ინფორმაციით, 19 წლის ახალგაზრდა საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი მდგომარეობა მძიმეა. ავტომობილის მძღოლი კი ასევე სამედიცინო დაწესებულებაში, შედარებით მსუბუქი დაზიანებებითაა მოთავსებული. ოთხივე მამაკაცი ბორჯომის მუნიციპალიტეტიდანაა.

ყვარელში მძიმე ავარიას ქვეითი ქალი ემსხვერპლა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 65 წლის ქალი დაიღუპა. შემთხვევა გუშინ, სოფლის ცენტრალურ გზაზე მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ქალი სამსახურში ქვეითად გადაადგილდებოდა, რა დროსაც მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

მიღებული მძიმე დაზიანებების შედეგად, ქალი ადგილზე დაიღუპა. გარდაცვლილი ქსელური მარკეტის „გვირილას“ თანამშრომელია. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

ბათუმში ზღვიდან კაცი უგონო მდგომარეობაში გამოიყვანეს — ის ადგილზე გარდაიცვალა

ბათუმში მაშველებმა ზღვიდან კაცი უგონო მდგომარეობაში გამოიყვანეს, ის ადგილზე გარდაიცვალა, – ინფორმაციას **„აჭარა თაიმსი“** ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.


ირანმა ზანგეზურის დერეფანს წითელი აუნთო – „ჩვენ მათ ფეხებს მოვამტვრევთ“

„ტრამპის მარშრუტის საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“, ანუ ზანგეზურის დერეფნის პროექტი ირანისთვის „წითელ ხაზად“ რჩება. მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო.

ირანის უმაღლესი ლიდერის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში **ალი აქბარ-ველაიათიმ** სომხეთი პირდაპირ გააფრთხილა, ირანი ამ პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგება და თუ ვინმე თეირანის პოზიციას არ გაითვალისწინებს, „ფეხები მოემტვრევა“.

მას გარდაცვლილი **აიათოლა ალი ხამენეის** პოზიცია მოჰყავს, რომელიც რუსეთისა და თურქეთის ლიდერებთან შეხვედრებზე ამბობდა, რომ ირანი „ზანგეზურის დერეფნის“ შექმნას ეწინააღმდეგება. ველაიათი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალი ხამენეის მიმართულებები საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით **„ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის წითელი ხაზია“**. მან გააკრიტიკა სომხეთის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელმაც ოქტომბრის ბოლოს „ტრამპის მარშრუტის“ პროექტზე აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

ალი აქბარ-ველაიათის პოზიციაზე ოფიციალურ ერევანს პირდაპირი განმარტება არ გაუკეთებია. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **არარატ მირზოიანმა** 5 ნოემბერს, მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიების ერთობლივ სხდომაზე დეპუტატებს „ზანგეზურის დერეფნის“ პერსპექტივები წარუდგინა. მეტიც, მისი თქმით, სომხეთმა TRIPP-ის პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მისი სრული გამოყენება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს.



„პროექტზე საუბრისას ვგულისხმობთ სხვადასხვა ინფრასტრუქტურას და, პირველ რიგში, რკინიგზას, ელექტროგადამცემ ხაზებსა და ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებს. მხარეები, ასევე, დაინტერესებული არიან მომავალში გაზსადენის, ნავთობსადენისა და სხვა შესაძლო ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნით“, – განაცხადა **მირზოიანმა.**

რამდენად შედის ირანის ინტერესებში, რომ მისი საზღვრიდან რამდენიმე ასეულ მეტრში აშენდეს დერეფანი, რომელსაც ამერიკელები გააკონტროლებენ? ანალიტიკოსი **ნოდარ კაპანაძე** პირდაპირ ამბობს, რომ ირანის ინტერესებში ეს არ შედის.

„28 თებერვლიდან მოყოლებული, რა ესკალაციაც მიდის რეგიონში, ამან პროექტი, ფაქტობრივად, დაასამარა. ეს არ არის მხოლოდ ირანისა და აშშ-ის დაპირისპირება, ძალიან დიდი ძალების კონფლიქტია. თავიდანვე არ მჯეროდა ზანგეზურის პროექტის, მაგრამ მიმდინარე მოვლენებმაც ეს ნამდვილად დაადასტურა.

შეიძლება, ბევრს აქვს სურვილი, მაგრამ ირანისთვის რამდენად მისაღები იქნება თავის საზღვრიდან რამდენიმე მეტრში ამერიკული გავლენის მქონე ასეთი მაგისტრალის ამოქმედება? მე ეს ძნელად წარმოსადგენია. სომხეთ-აზერბაიჯან-ირანს შორის რაღაც შეთანხმება გასაგები იქნებოდა, მაგრამ ამერიკის მონაწილეობით მსგავსი შეთანხმება ირანისთვის მიუღებელია“.

ანალოგიური მოსაზრებისაა ანალიტიკოსი **დავით ჩიხელიძე,** რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ირანში არსებული ესკალაციის პირობებში და მერეც, ზანგეზურის დერეფნის პროექტს განვითარების პერსპექტივა არა აქვს.

TRIPP-ის პროექტი სომხეთის ინფრასტრუქტურიდან რკინიგზას, ელექტროგადამცემ ხაზებსა და გზას მოიცავს. ოქტომბრის დასაწყისში აშშ-ში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ნარეკ მკრტჩიანმა** განაცხადა, რომ ამჟამად სომხურ მონაკვეთზე მიმდინარეობს კვლევა, რომლის დასრულებაც მომდევნო ერთ ან ორ თვეში არის მოსალოდნელი, რის შემდეგაც „რეალური პროგრესი უკვე 2027 წლის დასაწყისში“ დადგება.

კვლევის დაკვეთას ამერიკული კომპანია AECOM ასრულებს და მისი შედეგები მალე გახდება ცნობილი, ხოლო შეფასების შემდეგ პრაქტიკული სამუშაოები დაიწყება. სომხური მონაკვეთის მშენებლობა ან მიმდინარე წლის ბოლოს, ან მომავალი წლის დასაწყისში უნდა დაიწყოს. იქ მარშრუტი მხოლოდ 42 კილომეტრს შეადგენს, ხოლო ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ანუ აზერბაიჯანული მონაკვეთი 194 კილომეტრის სიგრძისაა.

გეძა დანელია

მთავარი და ყველაზე მწვავე კითხვა კვლავ აქტუალურია: რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებს კანონგარეშედ გამოაცხადებს და აქვს თუ არა ოპოზიციას რეალური გეგმა „ბ“?



აქვს თუ არა გეგმა „ბ“ ოპოზიციას, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მათ აკრძალავს?

მხარეთა დამოკიდებულება და მოლოდინები



სასამართლო პროცესის წინ პოლიტიკური სპექტრი მკვეთრად პოლარიზებულია:

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **დავით მათიკაშვილი** აცხადებს, რომ ოპოზიცია პროცესის გაწელვას ცდილობს, თუმცა კითხვა-პასუხის რეჟიმში მათი „არაკონსტიტუციური შინაარსი“ და „დანაშაულების კასკადი“ ბოლომდე გამოიკვეთება. მისი თქმით, ოპოზიციონერებს დასაბუთებული პასუხები არა აქვთ.



„ლელო – ძლიერი საქართველოს“ წევრი **გიორგი სიორიძე** აღნიშნავს, რომ პარტია სარჩელს ნაწილ-ნაწილ დაშლის და „ქართულ ოცნებას“ დიქტატურის გაფორმების მცდელობაში ამხელს. მისი თქმით, ისინი ყოველთვის იდგნენ კონსტიტუციის სადარაჯოზე.

ლაშა ფარულავა, ენმ-ის წევრი კი აცხადებს, რომ რეჟიმს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, თუმცა ეს პროცესი გამოიყენება იმისთვის, რომ საზოგადოებამ დაინახოს, „ვინ არის ისტორიის სამარცხვინო ფურცელი“. მისი თქმით, ფაქტები საბოლოოდ ევროპის სასამართლოში წავა.



რა ხდება კულისებში და არსებობს თუ არა გეგმა „ბ“?

> როგორც პოლიტიკური მიმომხილველი **ცოტნე კოგებერიძე** მიუთითებს, მიმდინარე პროცესები ოპოზიციას რთული გამოწვევის წინაშე აყენებს. პარტიები, რომლებიც აქამდე თანამშრომლობის რეჟიმში არ იყვნენ, იძულებულნი გახდნენ, სასამართლოში საკუთარი გადარჩენისთვის იბრძოლონ.

ანალიტიკოსის შეფასებით, ძალთა რესურსების დისბალანსი მკვეთრია – ხელისუფლების ხელშია ძალოვანი სტრუქტურები, ფინანსები და სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო ოპოზიცია ინსტიტუციური წარმომადგენლობის გარეშეა დარჩენილი.

„გეგმა რომ არსებობდეს, საზოგადოება დაინახავდა“, – აცხადებს დამოუკიდებელი პოლიტიკოსი **ცოტნე კოგებერიძე** და განმარტავს, რომ პროცესის შესაძლო აკრძალვით დასრულების შემდეგ, დღის წესრიგში დადგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაგრძელდება პოლიტიკური საქმიანობა 2028 წლის არჩევნებამდე.



იმ ფონზე, როდესაც ერთადერთ თეორიულ ალტერნატივად რევოლუციური სცენარი რჩება, რომლის განხილვასაც პოლიტიკური სპექტრი თავს არიდებს, პოლიტიკური პროცესი ჩიხში შედის. უახლოესი კვირები გვიჩვენებს, თუ რამდენად მზად არიან ოპოზიციური ძალები მოსალოდნელი კრიზისის დასაძლევად.

აქვს თუ არა ოპოზიციას ალტერნატიული გეგმა?

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-თან ამბობს, რომ დღევანდელ რეალობაში ოპოზიციას არანაირი რეალური გეგმა „გ“ არა აქვს და ეს სრულიად ლოგიკურიცაა იმ ფონზე, თუ როგორ ვითარდებოდა პოლიტიკური პროცესები ბოლო წლების განმავლობაში.

> **„ოპოზიციური სპექტრი მუდმივად ტაქტიკურ რეჟიმში მოქმედებდა და ცდილობდა, საპასუხო ნაბიჯები ვითარებისთვის მიეყოლებინა, სტრატეგიული ხედვა კი დეფიციტური იყო. რატომ აღმოჩნდა ოპოზიცია გეგმის გარეშე? იმიტომ, რომ პოლიტიკური მრძოლა მხოლოდ ინსტიტუციურ ჩარჩოებში, ანუ პარლამენტსა და სასამართლოებში წარმართვას ეფუძნებოდა. როდესაც ხელისუფლება თამაშის წესებს ცვლის და პარტიების აკრძალვის რადიკალურ ზომებზე გადადის, ტრადიციული პოლიტიკური მეთოდები აღარ მუშაობს. ოპოზიციამ ვერ შეძლო წინასწარ განჭვრეტა და იმ ალტერნატიული მექანიზმების მომზადება, რომლებიც ძალაუფლების დისბალანსს დააბალანსებდა“,** – განაცხადა მან.



მისივე თქმით, რაც შეეხება გამარჯვების რესურსს, ამ ეტაპზე, ინსტიტუციური რესურსების, ფინანსებისა და ძალოვანი სტრუქტურების გარეშე, ოპოზიციას ხელისუფლებასთან პირისპირ თანაბარი ბრძოლის რესურსი პრაქტიკულად არ გააჩნია.

> **„ხელისუფლების ერთპიროვნული კონტროლი იმდენად ძლიერია, რომ „გაიშვლების“ სტრატეგია, რაზეც ოპოზიცია ლაპარაკობდა, „ქართული ოცნებისთვის“ მტკივნეული არ აღმოჩნდა. თუ ოპოზიციამ არ გადადგა ნაბიჯი რეალური, ერთიანობისკენ მიმართული და შინაარსობრივად ახალი სტრატეგიისკენ, პროცესი სრულ პოლიტიკურ ჩიხში შევა“,** – განაცხადა მან.

ლიკა ბერიკაშვილი

ქართველი სასაზღვრო პოლიციელები სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დელეგაცია, სასაზღვრო პოლიციის უფროსის, გენერალ-მაიორ დავით თამაზაშვილის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია საერთაშორისო საზღვაო გამოფენას, „ევრონავალს“ (EURONAVAL) დაესწრო, სადაც დელეგაციის წევრები საზღვაო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მიდგომებს გაეცნენ.

„ევრონავალი“ საზღვაო სივრცის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და ომის ვეტერანთა სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია ქალაქ ბრესტში საფრანგეთის ეროვნული ფლოტის შენაერთებსაც ეწვია. შეხვედრები საზღვაო ინფორმაციის თანამშრომლობისა და სიტუაციური ცნობიერების, ასევე საზღვაო ოპერაციების ცენტრებში გაიმართა.

სამუშაო შეხვედრებზე მხარეებმა პრეზენტაციები წარადგინეს და ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება საზღვაო სივრცეში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ერთიანი ოპერაციული სურათის მართვისა და ამ მიმართულებით არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესახებ.

მოდულური შენობები დროებითი სასკოლო ინფრასტრუქტურისთვის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შონია, თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ აქსარაიში მოდულური შენობების მწარმოებელ ქარხანას ეწვია.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გაეცნო მოდულური სკოლების წარმოების პროცესს, თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიებს, გამოყენებულ მასალებსა და კონსტრუქციულ გადაწყვეტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოდულური კონსტრუქციების ტექნიკურ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, უსაფრთხოების სტანდარტებს, თბოიზოლაციას, ენერგოეფექტიანობასა და საგანმანათლებლო სივრცეების მოწყობის შესაძლებლობებს.

მწარმოებელი კომპანია, რომელსაც სამშენებლო სექტორში 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, სპეციალიზებულია სხვადასხვა დანიშნულების ასაწყობი და მოდულური კონსტრუქციების წარმოებაში, მათ შორის საგანმანათლებლო, საცხოვრებელი, საოფისე და სხვა ფუნქციური დანიშნულების შენობების მოწყობაში. მოდულური მშენებლობის ტექნოლოგია ითვალისწინებს შენობის ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ქარხნულ პირობებში დამზადებასა და შემდგომ სამშენებლო მოედანზე აწყობას. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს ხდის, მოკლე ვადებში უსაფრთხო, ფუნქციური და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცეების მოწყობას.





მთავარი ამოცანა

თბილისის მთავრობის გუშინდელი სხდომიდან

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ საკრებულოს განსახილველად წარედგინა თბილისის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მოცულობა 2 239 769 000 ლარს შეადგენს.

როგორც წინა წლებში, მომავალ წელსაც ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მიმართული იქნება ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისკენ.

„ჩვენ დედაქალაქის საკრებულოს განსახილველად უკვე წარვუდგინეთ თბილისის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მოცულობა შეადგენს 2 239 769 000 ლარს, რაც 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია 46,4 მლნ ლარით. მინდა, დავაზუსტო, რათა შემდგომში სპეკულაციები არ მოჰყვეს ამ საკითხს – ეს არის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი. უშუალოდ ვიცე-მერი მუშაობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე ვთანამშრომლობთ ფინანსთა სამინისტროსთან და ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაგეგმილია 623,3 მლნ ლარის გამოყოფა, რაც 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 50,4 მლნ ლარით მეტია. ეს, რა თქმა უნდა, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უფრო მეტი პროექტი განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული მიმართულებით. ვიცით, რომ ქალაქში გვაქვს გამოწვევები – ბევრი ქუჩა, გამზირი საჭიროებს განახლებას, საჭიროებს რეაბილიტაციას“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

სოციალურ და ჯანდაცვის მიმართულებით გათვალისწინებულია 677,7 მლნ ლარი, რაც 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 76 მლნ ლარით მეტია.

კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს დაავალა, დეკემბრის ბოლომდე სრულად აღწეროს გარე ვაჭრობაში ჩართული მოქალაქეთა რიცხვი, რათა მერიას ჰქონდეს სრული სურათი, თუ რამდენი ადამიანი საჭიროებს მხარდაჭერას ალტერნატიულ სივრცეებში საქმიანობის გაგრძელების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ვითარდება, ეკონომიკა წინ მიდის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩებიან ოჯახები, რომელთაც სჭირდება ჩვენი თანადგომა. ვიდრე არსებობს საჭიროება, რომ დავეხმაროთ ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ აღნიშნული პროგრამების დაფინანსებას, თუმცა მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ისე განვითარდეს ქვეყანა, ეკონომიკა წინ წავიდეს, რომ რაც შეიძლება ნაკლები სოციალურად დაუცველი ოჯახი გვყავდეს. კეთილდღეობა უნდა იგრძნოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ. კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა ცენტრალურ ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

* * *

მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს დაავალა, დეკემბრის ბოლომდე სრულად აღწეროს გარე ვაჭრობაში ჩართული მოქალაქეთა რიცხვი, რათა მერიას ჰქონდეს სრული სურათი, თუ რამდენი ადამიანი საჭიროებს მხარდაჭერას ალტერნატიულ სივრცეებში საქმიანობის გაგრძელების კუთხით“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

ამასთან, დედაქალაქის მერმა თბილისის რაიონების გამგებლებს დაავალა, მოიძიონ სივრცეები სავაჭრო ადგილების მოსაწყობად.

მანვე დაავალა გამგებლებს, რაიონების მიხედვით დაიწყონ სავაჭრო ობიექტებთან კომუნიკაცია იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა კატეგორიის პროდუქციის რეალიზებას, რათა ყველა ასეთი ადამიანი დაკმაყოფილდეს და ალტერნატიული სამუშაო სივრცე ჰქონდეს.

* * *

თბილისის მერმა განაცხადა, რომ დედაქალაქში მოქმედმა სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, დღეიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, მერიას უნდა წარუდგინონ 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საუკეთესო აკადემიური შედეგების მქონე, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების მონაცემები.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, თითოეული წარმატებული მაგისტრანტი თბილისის მერიისგან 1 000 ლარის ოდენობის ფინანსურ წახალისებას მიიღებს.

„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში, ყოველ სემესტრში, მაგისტრანტებისთვის თბილისის მერიის მიერ დაწესებული სტიპენდიის ოდენობა 562 ლარიდან 1 000 ლარამდე გაიზარდა. იმედია, სტიპენდიის გაზრდილი ოდენობა სტუდენტებს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას გაუჩენს, მათ შრომასა და მიღწევებს სათანადოდ დააფასებს და პროგრამით კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა ისარგებლებს“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

დედაქალაქის მერმა ყურადღება ფილტვის კიბოს სკრინინგზეც გაამახვილა დ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის ამოქმედებიდან ექვს თვეში 10 088 მოქალაქის კვლევა დაფინანსდა.

დედაქალაქის მერმა მოქალაქეებს მოუწოდა, ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით, რადგან წინასწარი გამოკვლევების ჩატარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თბილისის მერმა მოქალაქეებს შეახსენა, რომ მუნიციპალიტეტის აღნიშნული პროგრამით სარგებლობა სრულიად უფასოა.



კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 69 ოჯახს დიდ დიღომში, კომპლექს „პერსპექტივა 2-ში“ საცხოვრებელი ფართები გადაეცა.

თბილისის მერიის ცნობით, საცხოვრებელი ბინების გასაღებები მოქალაქეებს მერმა **კახა კალაძემ** ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან **გიორგი კობიაშვილთან** ერთად გადასცა და ახალმოსახლეობა მიულოცა.

დედაქალაქის მერის თქმით, პროგრამას, რომელიც მისი 2017 წლის წინასაარჩევნო დაპირება იყო, უკვე კონკრეტული ხელშესახები შედეგი აქვს. კერძოდ, 3 500-მდე დაზარალებული ოჯახიდან 2 500-ზე მეტი უკვე დაკმაყოფილებულია. ამასთან, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადებულია 33 პროექტზე, რომელთაგან 29-ზე სამშენებლო ნებართვა გაცემულია და სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, წლის ბოლომდე კი კიდევ 12 პროექტის დასრულება იგეგმება, რის შედეგადაც დამატებით 600-მდე ოჯახი დაკმაყოფილდება.

„2017 წელს, როდესაც დაზარალებულმა ოჯახებმა დახმარების თხოვნით მოგვმართეს, მათ სიტყვებში ყველაზე მეტად იგრძნობოდა უიმედობა, გაურკვევლობა და შიში, რომ სამართლიანობა ვერასდროს აღდგებოდა. მაშინ ჩვენ ამ ადამიანებს დავპირდით, რომ ყველაფერს გავაკეთებდით მათი პრობლემის მოსაგვარებლად. დღეს სწორედ 69 ოჯახს გადაეცემა ახალი საცხოვრებელი ფართები. მათთვის ათწლეულობის ლოდინის მნიშვნელოვანი ეტაპი სრულდება და ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. გილოცავთ ამ დღეს. მშვიდობა, სიყვარული, გედნიერება არ მოგკლებოდეთ თქვენს ახალ სახლებში. ჩვენთვის ამ პროგრამის მთავარი შედეგი მხოლოდ აშენებული შენობები და გადაცემული ბინების რაოდენობა არ არის. მთავარი არიან ის ადამიანები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ელოდნენ ამ დღეს“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, პარტნიორ კომპანიებსა და პოლიტიკურ გუნდს მადლობა გადაუხადა. **„პერსპექტივა 2-ის“ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 2022 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდა. პროექტის ფარგლებში აშენდა 417-ბინიანი თანამედროვე საცხოვრებელი კორპუსი, სადაც სრულად არის დაცული ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები, მიმდებარედ კი კეთილმოწყობილი ეზო და რეკრეაციული სივრცე მოეწყო. კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების დაკმაყოფილების პროგრამა თბილისის მერიამ 2018 წელს დაიწყო და პროცესი უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება.**

ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობები დევნილებს!

იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით შიდა ქართლში მდებარე დევნილთა დასახლებებში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

დევნილთა სააგენტომ შავშვების, ხურვალეთის, ბერბუკის, თელიანის, მეტეხისა და კარალეთის დასახლებებში მცხოვრებ 150-მდე ოჯახს სახლის იატაკის საფარი სრულად შეუცვალა, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული. განხორციელდა სრული დემონტაჟი და კაპიტალური განახლება, სამუშაოების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა გარემო პირობებიც: გაკეთდა ჰიდროიზოლაცია და დათბუნება.

აღნიშნული საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სოფელ შავშვებში, დევნილ ოჯახებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს მიიღო.

რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ **მიხეილ სარჯველაძემ** ჩატარებული სამუშაოები დაათვალიერა. უწყების ხელმძღვანელი ადგილობრივ მცხოვრებლებსაც შეხვდა.

მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, სამინისტრო მუდმივად ახორციელებს დევნილთა დასახლებებში არსებული ვითარების მონიტორინგს და თითოეულ ახალ პროგრამას სწორედ ადგილობრივების საჭიროებების შესაბამისად გეგმავს.

შავშვების დასახლებაში ასევე იმყოფებოდნენ: მინისტრის მოადგილე **გიორგი ცაგარეიშვილი,** დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი **დავით კაიკაციშვილი,** ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.





ვისთვის ისვრის რუსეთი მაშველ რგოლს?!

რატომ გააქტიურდა რუსეთი „3+3“ ფორმატზე და რა დგას შოიგუს განცხადების მიღმა?

სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური დინამიკა კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში მას შემდეგ, რაც რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შოიგუმ საქართველოს ხელისუფლების მისამართით მორიგი ხმაურიანი განცხადება გააკეთა. დსთ-ს წევრი სახელმწიფოების უშიშროების საბჭოს მდივნების მე-14 ყოველწლიურ შეხვედრაგე გამოსვლისას, შოიგუმ აღნიშნა, რომ ოფიციალურმა თბილისმა 2024 წელს „პროდასავლური ოპოზიციის მიერ ინიცირებული სახელმწიფო გადატრიალება აღკვეთა“.

რუსეთის მაღალჩინოსანმა ღიად შეაქო საქართველოს მმართველი გუნდის კურსი და ყურადღება ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ შრომითიერთობებსა და რეგიონულ თანამშრომლობაგე გაამახვილა. „საქართველოს ხელისუფლებამ 2024 წელს პრაქტიკულად აღკვეთა პროდასავლური ქართული ოპოზიციის მიერ ინიცირებული სახელმწიფო გადატრიალება და ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მიმართული კურსის გატარება დაიწყო. მივესალმებით საქართველოსა და რუსეთის შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტიურ განვითარებას... ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია 3+3 რეგიონული საკონსულტაციო პლატფორმის მუშაობის განახლება“, – განაცხადა სერგეი შოიგუმ.



ოფიციალური თბილისის პოზიცია

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებას საქართველოს მმართველ პარტიაში მალევე გამოეხმაურნენ.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის **გია ვოლსკის** შეფასებით, მოსკოვიდან გაჟღერებული გზავნილები მხოლოდ იმ პოლიტიკური ჯგუფებისა და მედიასაშუალებებისთვისაა ხელსაყრელი, რომლებიც ხელისუფლებას ებრძვიან.

„შოიგუ ამას როგორ შეაფასებს, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი, რაც შეიძლება აშკარად დავინახოთ, ის არის, რომ შოიგუს ასეთი განცხადებები, თუ ვინმესთვის გამოდგება მაშველ რგოლად, ეს მხოლოდ იმ მედია-საშუალებებისთვის და მათი მფარველი პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან სახელმწიფოს“, – აღნიშნა **გია ვოლსკიმ.**

რაც შეეხება მოსკოვის მიერ ინიცირებულ „3+3“ ფორმატს (სამი კავკასიური სახელმწიფო და სამი დიდმეზობელი: რუსეთი, თურქეთი, ირანი), თბილისის პოზიცია უცვლელი რჩება. საქართველოს წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ ოკუპაციის პირობებში, რუსეთთან პოლიტიკურ პლატფორმებში მონაწილეობა შეუძლებელია.

„რაც შეეხება იმას, რომ „3+3 ფორმატი“ შეიძლება შედგეს, ამასთან დაკავშირებით არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ამ ფორმატში მოაზრებულ ქვეყნებსაც არა აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება. მით უმეტეს საქართველოს, ვინაიდან ქვეყანასთან, რომელიც ამ პროცესის ხელმძღვანელად მიიჩნევს თავს, არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. მიმდინარე ოკუპაცია, რასაკვირველია, საშუალებას არ გვაძლევს რაიმე პოლიტიკურ თემაზე ვისაუბროთ“, – განაცხადა **ვოლსკიმ.**



რას ნიშნავს რუსეთის ეს განცხადება?

ყოფილი სახელმწიფო მინისტრის **პაატა ზაქარეიშვილის** თქმით, შოიგუს განცხადება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტების ფონზე გაკეთდა.

მისი თქმით, მოსკოვი ხედავს, რომ რეგიონში მისი ტრადიციული გავლენები სუსტდება, რასაც სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში დასავლური დიპლომატიის აქტიურობაც უწყობს ხელს.

„კრემლი ცდილობს, „3+3“ ფორმატის გაცოცხლებით რეგიონიდან დასავლური აქტორები (აშშ და ევროკავშირი) ჩამოაცილოს და სამხრეთ კავკასიის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ რეგიონულ მოთამაშეებს მიანდოს. საქართველოზე აპელირებითა და ეკონომიკური თანამშრომლობის ხაზგასმით, რუსეთი ცდილობს, შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს თბილისი მის ორბიტას უბრუნდება. ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორი მოსკოვთან ნებისმიერ პოლიტიკურ დაახლოებას ბლოკავს“, – განაცხადა მან.

მისივე თქმით, რეგიონში რუსეთისთვის არაფერი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება.


„აშკარად ეს ისტერიული განცხადებაა იმიტომ, რომ აზერბაიჯანი რუსეთის ინტერესებს არ ემორჩილება, უბრალოდ, რაც მოსწონს აზერბაიჯანში არის ის, რომ აზერბაიჯანი არ მიდის ნატოში და არ მიდის ევროკავშირში, მაგრამ სამაგიეროდ მისი წამყვანი პარტნიორი თურქეთია. ეს არანაირად არ უნდა მოსწონდეს, რადგან თურქეთი ძლიერდება.



ამიტომ ერთადერთი მოკავშირე რუსეთს ჰყავს საქართველო, მაგრამ საქართველოსთან არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს – საქართველო არც დსთ-ს, არც ოდეკაგეს წევრი არ არის და ცდილობენ, იქნებ „3+3“ ფორმატში მაინც ჩაითრიონ. ეს ამსოლუტურად უაზრობა და არაფრისმთქმელი ფორმატია, იქაც კი არ არის საქართველო. აშკარად საქართველო ცდილობს, რომ ამ ყველაფერში არ ჩაერთოს“, – განაცხადა მან.

ლიკა გერიკაშვილი

კრემლი ცდილობს, „3+3“ ფორმატის გაცოცხლებით რეგიონიდან დასავლური აქტორები (აშშ და ევროკავშირი) ჩამოაცილოს და სამხრეთ კავკასიის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ რეგიონულ მოთამაშეებს მიანდოს. საქართველოზე აპელირებითა და ეკონომიკური თანამშრომლობის ხაზგასმით, რუსეთი ცდილობს, შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს თბილისი მის ორბიტას უბრუნდება.



„სტოკჰოლმის სინდრომი“, თუ?..

რატომ ითხოვს მიტროპოლიტი იობი სააკაშვილის გათავისუფლებას?

ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდებით მიტროპოლიტი იობი არა ქრისტიანულ მცნებებს, არამედ საკუთარ დაუსჯელობასა და კონტროლირებადი შეიარაღებული ავტონომიის შენარჩუნების უფლებას იცავს – ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება, – ასე აფასებს სოციალურ ქსელში „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი მიტროპოლიტ იობის საქმიანობას, კერძოდ, მის მიერ ხელისუფლებისადმი გაკეთებულ მიმართვას ექსპრეზიდენტის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.



დავით ქართველიშვილი ვრცელ პოსტში მეუფე იობის საქმიანობის შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ სააკაშვილის გათავისუფლებისა და მოქმედი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნები მისი დანაშაულებრივი საქმეების გადაფარვის მცდელობაა.

„მიტროპოლიტმა იობმა გააკეთა განცხადება არსებული ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობის თაობაზე. იმადება შეკითხვა – ვის გულისხმობს მეუფე ჩამნაცვლებლის კანდიდატში. პასუხი მან თვითონვე გასცა ორიოდე წლის წინ, როდესაც არსებულ ხელისუფლებას მოუწოდებდა სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებისაკენ და ახასიათებდა წინა რეჟიმს, როგორც სულიერების თვალსაზრისით სამაგალითოს მოქმედ ხელისუფლებასთან შედარებით. პარალელურად – სწორედ სააკაშვილის „სულიერ ოპოზიციასთან“ აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველწლიურად აქვეყნებდნენ ძამას ხეობის გამანადგურებელ ანგარიშებს, რომელსაც „კეთილგონიერი ავაზაკების ხეობად“ მოიხსენიებდნენ. პრო-სააკაშვილისეული „ენ-ჯეო-ები“ მეუფე იობის ეპარქიაზე იმდენად დაუჯერებელ ფაქტებს ასაჯაროებდნენ, რომ გაკვირვებას ბადებდა, რატომ არ ხდება ამ განცხადებების გასაჩივრება სასამართლო წესით? არც ერთის! მაშინ, როდესაც ჩვენი ეკლესიის რიგითი წევრები ვცდილობდით „ენ-ჯეო-შნიკების“ ამ პასკვილებთან ბრძოლას, მღვდელმთავარი ყველაფერს უტარებდა „ქრისტიანულ მიმტევებლობაში“.

მეტიც, დღეს სწორედ ჩვენ გვებრძვის, მის დამცველებს ლიბერალური ფაშიზმის გამოვლინებებისაგან და სწორედ ამ რეჟიმს ნატრულობს ხელისუფლების სათავეში. რასთან გვაქვს საქმე – ღრმა კოგნიტურ დისონანსთან თუ „სტოკჰოლმის სინდრომთან“? თუ ეს არის მეუფე იობის მკაფიო სიგნალი, რომ ის დღეს ლიბერალური ფაშიზმის მძევლობაშია აყვანილი, შველას ითხოვს და ამ ფორმით გამოხსნისკენ მიგვანიშნებს. ეჭვი რომ არ შეგეპაროთ ჩემს ვარაუდებში, მხოლოდ ღია წყაროებით მოპოვებულ ინფორმაციას შეგახსენებთ იმ ორგანიზაციების შესახებ, ვინც წლების განმავლობაში მიწასთან ასწორებდა მეუფე იობს და ძამას ხეობას: სოციალური სამართლიანობის ცენტრი (Social Justice Center, ყოფილი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, EMC / Human Rights Education and Monitoring Center), ადამიანის უფლებათა ცენტრი (Human Rights Center, HRC), მწვანე ალტერნატივა (Green Alternative), საგამომძიებო ჟურნალისტიკის გაერთიანება სტუდია მონიტორი (Studio Monitori) და რეგიონული მედიაორგანიზაცია შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი (Shida Kartli Information Centre /Qartlige). აი მხოლოდ ძირითადი ამონარიდი ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებიდან:

„ურბნისისა და რუისის ეპარქია, მიტროპოლიტ იობის (აქეთაშვილის) ხელმძღვანელობით, უმართავ ანკლავად გადაიქცა, სადაც კრიმინალური და სამეურნეო სპანდალები სასულიერო სტატუსს ამოფარებული ხდება. ძამას ხეობაში დღემდე ახსოვთ 2020 წლის აპრილის მოვლენები, როდესაც ყინწვისის მონასტრის წინამძღვარმა, ქრისტინე (კოზა კოზაიძე), უკანონო კალაშნიკოვის ავტომატიდან არქიმანდრიტ დოროთეს ავტომოზილს ცეცხლი გაუხსნა, რის შემდეგაც იგი შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და საგზრძოლო იარაღის უკანონო შენახვის გრალდებით დააკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო მასალებმა კი, მონასტერში პოლიციელის მკვლელობაში მსავრდებული, მიმალვაში მყოფი დიონისე კოხრეიძის შეფარების ფაქტები გამოავლინა“.

სიტუაციის პარადოქსი ის არის, რომ „ქართული ათონის“ სისტემური მხილება წლების განმავლობაში სწორედ იმ პროსააკაშვილისეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიასაშუალებებმა აწარმოეს, რომლებსაც ამჟამად მეუფე იობი ხელისუფლებაში ნატრულობს და რომლებთანაც მიტროპოლიტი დღეს საერთო ენას პოულობს. სწორედ ოპოზიციასთან დაახლოებული რიჩის (ამჟამად „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“) ანგარიშებმა და ტელეკომპანია Formula-სა და Sakartvelosambebi-ს ჟურნალისტურმა გამოძიებებმა გამოააშკარავა, როგორ დაეუფლა სასულიერო პირების ნაწილი 5,4 მილიონ კვადრატულ მეტრ სახელმწიფო მიწას და როგორ აიძულეს გვერდცინეთის სოფელში მცხოვრები აჭარელი ეკომიგრანტების ოჯახები, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი, რითაც მათ საძოვრებზე წვდომაც შეუზღუდეს.

იმავე ოპოზიციურმა ჟურნალისტებმა გამოავლინეს არალეგალური სახელოხი საამქროების არსებობა და სასულიერო პირების კერძო მიწის იმპერიები: მამა სტეფანეს (პორინთელი) საკუთრებაში არსებული 7,9 მილიონი კვადრატული მეტრი, აწ განსვენებული მამა საბას (ჟღენტი) საკუთრებაში არსებული 1 მილიონი კვადრატული მეტრი და მამა დავითის (კოზა კოზაიძე) საკუთრებაში არსებული 124 ათასი კვადრატული მეტრი მიწა, ხე-ტყის სახელოხ საამქროსთან ერთად. ამ ფაქტებს მოჰყვა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ორგანოების შემოწმებები, რაც დაცულ ტყეებში უკანონო ჭრისა და გრაკონიეროზის ფაქტებს უკავშირდებოდა.

თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიციასთან, რომელიც მის ეპარქიას გრაკონიეროზაში, რეიდერობაში და რესურსების მიტაცებაში ადანაშაულებდა, შეურიგებელ დაპირისპირებაში შესულიყო - მიტროპოლიტმა იობმა მასთან ცინიკური გარიგების გზა აირჩია. როდესაც მიხვდა, რომ მოქმედი ხელისუფლება თანდათან ზღუდავს ეპარქიის მოხელეთა თვითნებობას და პასუხისმგებლობას აკისრებს შეიარაღებულ გერებს, გამოდის, რომ მეუფემ პოლიტიკური მფარველის შეცვლა გადაწყვიტა. სააკაშვილის გათავისუფლებისა და მოქმედი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნები იმავე ძალებთან ალიანსის დამყარების მცდელობაა, რომელთა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მიტროპოლიტის წინააღმდეგ კომპრომატებით სავსე სქელი დოსიეები აქვთ, თუმცა ეკლესიის პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, მათზე თვალის დახუჭვისთვის მზად არიან.

ამ პოლიტიკური ვაჭრობის მიღმა აშკარა პრაგმატიზმი იკვეთება: მიტროპოლიტი იობი ცდილობს, ოპოზიციისადმი პოლიტიკური ლოიალობა ძამას ხეობაში საკუთარი ფეოდალური „მიწის იმპერიის“ ხელშეუხებლობაში გაცვალოს. „ფეოდალი“ და „იმპერია“ – ეს არაა მეუფის მისამართით ჩემი შეფასება! ეს არის კოლექტიური ნაცმოძრაობის ეპითეტები მის მიმართ! ნაცსექტის ინფორმაციას თუ დაეჯერება, მილიონობით კვადრატული მეტრი მიწის უკანონო მფლობელი, არარეგისტრირებული სახერხი საამქროების მაკონტროლებელი და მონასტრებში შეიარაღებული ყოფილი მსჯავრდებულების შემფარებელი ეპარქია სასიცოცხლოდ საჭიროებს მფარველს, რომელიც მის სტატუსს „სახელმწიფოში სახელმწიფოდ“ საბოლოოდ გაამყარებს.


ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა, როგორც ჩანს, არც სასულიერო პირებზე ზრუნვით არის ნაკარნახევი და არც იმ გლეხების ინტერესების დაცვით, რომლებმაც საძოვრები დაკარგეს. ეს არის მცდელობა, ხელისუფლების სათავეში მოვიდეს უფრო დამყოლი პოლიტიკური ძალა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სატყეო ზედამხედველობის ორგანოების შემდგომ გამოძიებებს საბოლოოდ დაბლოკავს.

საბოლოოდ, საქმე გვაქვს პოლიტიკური გარტერის კლასიკურ მაგალითთან: მღვდელმთავარი, რომლის ეპარქიის გარშემოც ფიგურირებს სისხლის სამართლის საქმეები სროლებთან, ავტომატური იარაღის შენახვასთან, ტყის უკანონო ჭრასა და სასოფლო-სამეურნეო მინების მიტაცებასთან დაკავშირებით, ხელს უწვდის სააკაშვილის პოლიტიკურ ძალას, რომელიც თავად ამხელდა მას.

ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდებით მიტროპოლიტი იობი არა ქრისტიანულ მცნებებს, არამედ საკუთარ დაუსჯელობასა და კონტროლირებადი შეიარაღებული ავტონომიის შენარჩუნების უფლებას იცავს – ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება. და თუ ის მართლაც ტყვეობაშია ამ სატანისტური ძალების – ის სასწრაფოდ უნდა გადავარჩინოთ, ეს ჩვენი ქრისტიანული ვალია!“ – წერს **დავით ქართველიშვილი.**

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული დიდი მეცნიერი

ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს საინჟინრო, ინფორმატიზაციის საერთაშორისო და ამერიკის საბუნებისმეტყველო აკადემიების წევრს, რუსეთის სამთო მეცნიერებათა, რუსეთის საინჟინრო აკადემიების ნამდვილ წევრს, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლევან ჯაფარიძეს დაბადებიდან 90, ხოლო სამეცნიერო, პედაგოგიური და საგოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა.



ლევან ჯაფარიძე – 90

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ლევან ჯაფარიძემ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს სპეციალობით მიწისქვეშა ნაგებობების და საშახტო მშენებლობა (სრული კურსით), და სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (1961 წელს).

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლ. ჯაფარიძემ მუშაობა დაიწყო ინსტიტუტ „საქშახტაპროექტის“ სამრეწველო განყოფილებაში, სადაც იგი მუშაობდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაპროექტებაზე, როგორებიცაა: ქვანახშირის შახტები და მაღაროები, კაპიტალური მიწისქვეშა ნაგებობები და გვირაბები, მიწისზედა სამთო-ტექნიკური კომპლექსები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1965 წელს ლევან ჯაფარიძე სწავლას განაგრძობს ქ. ლენინგრადის სამთო გეომექანიკისა და მარკშეიდერიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც იგი ჩართული იქნა კვლევით ჯგუფში, რომელიც მუშაობდა რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ქვანახშირის შახტების და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ჭაურების დაპროექტების და მშენებლობის სპეციალურ სახელმწიფო პრობლემებზე, იგი ამ პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობს ნიკო მუსხელიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანები“-ს შესწავლას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაც გახდა მძლავრი იარაღი მისი შემდგომი მუშაობისას მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკის რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

1968 წელს მან მუშაობა დაიწყო გ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა მეცნიერი თანამშრომლიდან დირექტორის თანამდებობამდე – ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს 1984-2004 წლებში, ამჟამად არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ერთერთი განყოფილების ხელმძღვანელი.

ლევან ჯაფარიძეს უმნიშვნელოვანესი შრომები აქვს გამოქვეყნებული ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქანების და მიწისქვეშა ნაგებობათა მექანიკა; ნაგებობათა გაანგარიშება გრავიტაციული, ტექნოლოგიური, ტექტონიკური, მიწისძვრის და აფეთქების სეისმური, და სხვა წარმოშობის სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებებზე; ბუნებრივი და კომპოზიტური მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემები; სამთო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური, სამხედრო და სხვა დანიშნულების გვირაბების ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების ანალიზური მეთოდები და კომპიუტერული პროგრამები; წიაღისეულ საბადოთა რაციონალური მოპოვების და გადამუშავების სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები; მეწყერსაშიში უბნების გრავიტაციული და სეისმური ზეგავლენების მიმართ მდგრადობის შეფასების და მისი უზრუნველყოფის გეოტექნიკური მეთოდების განვითარება და გამოყენება.

ლ. ჯაფარიძის შრომებში პირველად იქნა ჩამოყალიბებული მიწისქვეშა ნაგებობების ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა ზღვრული ძაბვების და კრიტიკული დატვირთვების საყოველთაოდ მიღებულ კრიტერიუმებთან ერთად და ხშირად მათ ნაცვლად ქანების მასივის და ხელოვნური სამაგრი კონსტრუქციის ზღვრული დეფორმაციების და გადაადგილებების პრინციპულად ახალი კრიტერიუმების გამოყენებას. ყოველივე ეს აღიარებულ იქნა, როგორც საერთაშორისო მნიშვნელოვნების ახალი სამეცნიერო მიმართულება და 1978 წელს მოსკოვის სამთო ინსტიტუტში ლ. ჯაფარიძის მიერ წარმატებით დაცული იქნა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ბოლო წლებში ლ.ჯაფარიძის მიერ დამუშავებულია სხვადასხვა ტიპის მეწყერული ტანების გრავიტაციული და სეისმური ძალების მოქმედებისას მდგრადობის შეფასების ორიგინალური რიცხვით – ანალიზური მეთოდები კომპიუტერული პროგრამების და ძაბვათა თეორიის ანალიზური აპარატის ერთობლივი გამოყენებით. არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით, ისინი შესაძლებლობას იძლევა შრეობრივი მასივის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოდელირებული იქნას მეწყერსაშიში ტანების შესაძლო ჩამოშლის სხვადასხვა ფორმის საანგარიშო სქემები, გაანგარიშებული იქნას მათი მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საჭირო თანამედროვე გეოტექნიკური საშუალებები ჩვეულებრივი და ექსტრემალური პირობებისათვის. მის მიერ დამუშავებული სხვადასხვა ტიპის მეწყერსაშიში ფერდობების მდგრადობის ხარისხის დადგენის კომპიუტერიზებული რიცხვით-ანალიზური მეთოდი გამოყენებული იქნა წყნეთი-სამადლოს 2015 წლის მეწყრული მოვლენების შედეგების აღმოფხვრის პროექტებში. აღსანიშნავია, რომ „ცოცვად-პლასტიკური“ მეწყერსაშიშ ადგილებში ჩატარებული კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა ქ. თბილისის შეშელიძის ქუჩისა და ვაშლიჯვრის უბნის ცოცვად-პლასტიკური მეწყერების გამაგრების პროექტებში, რომელიც შედგენილი და განხორციელებული იქნა გერმანიის ბავარიის საინჟინრო გეოლოგიის ბიუროსა და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ თანამშრომლებთან ერთად.

ლევან ჯაფარიძე 1997 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2008 წელს – აკადემიკოსად.

აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორი. მის მიერ ჯერ კიდე 1983 წელს შეიქმნა პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „მიწისქვეშა ნაგებობათა მექანიკაში“. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლევან ჯაფარიძის მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგად შექმნილი მონოგრაფია „მიწისქვეშა ნაგებობების ზღვრული საექსპლუატაციო პირობები“, რომელიც 2024 წელს გამომცემლობა „შპრინგერმა“ გამოსცა ინგლისურ ენაზე. აღნიშნული ნაშრომისთვის ლევან ჯაფარიძეს 2026 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ლ. ჯაფარიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა – იგი 1992-2003 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის (შემდგომში - დეპარტამენტის) თავმჯდომარე; 1987 – 1990 წწ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის ტექნიკის სექციის წევრი; 1995-2003 წწ. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

1998 წელს ლ. ჯაფარიძე დაჯილდოვებული იქნა ღირსების ორდენით, 2025 წელს მიენიჭა კომპანია **RMG**-ის საპატიო სამთოელის წოდება, ხოლო 2026 წ. არჩეულ იქნა თბილისის საპატიო მოქალაქედ.

მრავალმხრივმა სამეცნიერო მოღვაწეობამ სამთო-სამშენებლო პრობლემების გადაწყვეტისას, მისმა პუბლიკაციებმა და მონაწილეობამ მსოფლიო კონგრესებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე: სტოკჰოლმში, ფლორენციაში, ვაშინგტონში, ტოლედოში, ათენში, აგრაში და სხვა, ლ. ჯაფარიძეს შეუქმნა საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერის ავტორიტეტი. იგი არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სამთო მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი და ამერიკის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი.

თვალსაჩინოა აკადემიკოს ლევან ჯაფარიძის პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს დისციპლინებში: „სამთო-ტექნიკური შენობა-ნაგებობები“ და „ქანების მექანიკა“. მის მიერ შექმნილია პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „მიწისქვეშა ნაგებობათა მექანიკა“. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ხუთი სამეცნიერო დისერტაცია.

აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე არის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ტექნიკურ განათლებასთან ერთად, იგი ბრწინვალედ ფლობს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. ბატონი ლევანი ბავშვობიდან გატაცებული იყო ავიამოდელიზმით – მისი ხელით გაკეთებულა საკმაოდ რთული მოქმედი ავიამოდელები. იყო პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის ჯგუფის წევრი და უკვე ბავშვობაში მოვლილი ქონდა თუშეთი თუ ხევსურეთი, ხოლო შემდეგ ეს გადაიზარდა ალპინიზმით სერიოზულ გატაცებაში. თამაშობდა ფეხბურთს ახალგაზრდულ დინამოელში. იგი გატაცებულია მთისა და წყლის თხილამურებით, შესანიშნავად უკრავს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, არის მრავალი სიმღერის უბადლო შემსრულებელი.

აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე არის აქტიურად მოღვაწე, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით სრულდება არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო. იგი, აგრეთვე, აგრძელებს ზრუნვას ქართული სამთო მეცნიერებისათვის ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად.

აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე დიდ მეცნიერთან ერთად, არის უაღრესად კაცთმოყვარე, მეგობრების, კოლეგებისა და ახალგაზრდების უსაზღვროდ მოყვარული, ჰუმანური, კეთილშობილი ყველასათვის ძვირფასი პიროვნება და ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მოქალაქე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უსურვებს აკადემიკოს ლევან ჯაფარიძეს ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებებს მის სამეცნიერო საქმიანობაში და გედნიერებას პირად ცხოვრებაში მის ოჯახთან, მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება.

საქართველოში უხვ ნარინჯისფერ რთველს ელოდებიან

წელს, ყურძენთან ერთად, ციტრუსის კარგი მოსავალია. უამინდობის გამო, მაღალია არასტანდარტული მანდარინის წილი, ამიტომ მთავრობა შერმერებს წელსაც შეეხიდება.

სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი არასტანდარტული მანდარინი წელსაც დასუბსიდირდება. აღნიშნული გადაწყვეტილება აჭარის მთავრობამ მიიღო. კერძოდ, სახელმწიფო სუბსიდია კილოგრამზე 35 თეთრი იქნება, ხოლო საწარმო დამატებით 5 თეთრს გადაიხდის. შესაბამისად, შერმერი არასტანდარტული მანდარინის ჩაბარებისთვის კილოგრამზე 40 თეთრს მიიღებს.





ციტრუსი რაოდენობრივად ბევრია, მთავრობა ფერმერებს ნაწილობრივ დაეხმარება

ციტრუსის მოსავლის რეალიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, აჭარაში ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი უკვე ამოქმედდა. ივი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ **ზურაბ პატარაძემ,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან **დავით სონღულაშვილთან** და აჭარის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრთან **დენის სალუქვაძესთან** ერთად გახსნა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფერმერების მხარდაჭერა, მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა და საექსპორტო ბაზრების გაფართოება ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მისივე განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შუა აზიის ქვეყნებში ციტრუსის ექსპორტის გაზრდას, საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების გაძლიერებასა და საექსპორტო დოკუმენტაციის მინიმალური ბიუროკრატიით მომზადებას, რათა მოსავალი დროულად გავიდეს ბაზრებზე და ფერმერებმა მეტი შემოსავალი მიიღონ.

შტაბი კოორდინაციას გაუწევს საზღვაო და სახმელეთო ლოჯისტიკასა და მანდარინის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების მუშაობას. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა კი ექსპორტიორებს პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზასა და საექსპორტო პროცედურებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს გაუწევს.

საპროგნოზო მონაცემებით, აჭარაში წელს 40-45 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელოდებიან. საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმო ჩაიბარებს, ხოლო არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებას ქობულეთში მდებარე ორი საკონსერვო ქარხანა შეუზღუდავი რაოდენობით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ციტრუსის კარგი მოსავალია გურიასა და სამეგრელოშიც. საბოლოო ჯამში, წელს ქვეყანაში შარშანდელზე უხვი ნარინჯისფერი რთველი იქნება. საკმაოდ უხვ მოსავალს ელოდებიან ოკუპირებულ აფხაზეთშიც, სადაც 42 000 ტონაზე მეტი ციტრუსის, ძირითადად, მანდარინის მოკრეფას ვარაუდობენ.

დე ფაქტო უწყება დიდი საწარმოს – „აფხაზეთის ციტრუსის კომპანიის“ გახსნას აანონსებს, რომელიც ადგილობრივი ფერმერებისთვის მთავარი მხარდაჭერა იქნება. კერძოდ, მათ შესაძლებლობა ექნებათ, საწარმოს უხარისხო ხილი მიჰყიდონ, რომელიც გაზარზე არ არის ხელმისაწვდომი. ეს ფერმერებისთვის დამატებით შემოსავალს გააჩენს. კომპანია წლევანდელ სეზონზე სრული დატვირთვით იმუშავებს და 20 000 ტონამდე არაკონდიციური ხილის დამუშავებას შეძლებს. საწარმო წვენის წარმოებასა და მზა პროდუქციის ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

ოქრო-ვერცხლი იაფდება...

ოქროს ფასი გოლო ერთი წლის მანძილზე, მინიმუმამდე დაეცა და გაიაფებას კიდევ აგრძელებს, ხოლო ვერცხლის ღირებულება, უნციაზე 50-დოლარიან ნიშნულს ქვემოთ ჩამოვიდა, რაც დიდი ხანია აღარ დაფიქსირებულა. ფასი იკლებს საქართველოშიც. როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონების არანორმალური გაძვირების პერიოდი დასრულდა და ოქროს ღირებულება ახალი წონასწორული ნიშნულისკენ მიდის.

გაზარზე შექმნილი ვითარება ორმა ძირითადმა გლობალურმა ფაქტორმა განაპირობა:

1. ნავთობის გაძვირება და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკა. ენერგომატარებლების ფასების ზრდამ ინფლაციური წნეხი გააძლიერა, რამაც გაზარდა ალბათობა იმისა, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა დეკემბერში საპროცენტო განაკვეთს კვლავ გაზრდის (ტრეიდერები ამის 70%-ზე მეტ შანსს აფასებენ). როგორც Reuters-ი წერს, მაღალი განაკვეთები და გამყარებული დოლარი კი ოქროს, როგორც არასაპროცენტო აქტივის მიმზიდველობას ამცირებს.

2. ტექნოლოგიური სექტორის აქციების ვარდნა. პუბლიკაციაში საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნოლოგიურ გიგანტებში მოსალოდნელზე სუსტმა კვარტალურმა ანგარიშგებებმა ხელოვნური ინტელექტის სექტორიდან ინვესტორების გადინება გამოიწვია. წარმოქმნილი დანაკარგების დასაფარად, ინვესტორები იძულებულნი გახდნენ ძვირფასი მეტალების აქტივები მასობრივად გაეყიდათ და თანხები აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებში გადაეტანათ.

თუმცა, რეალური მიზეზი უფრო სხვაგვარია. საქმე ისაა, რომ ცენტრალურმა ბანკმა (განსაკუთრებით აზიაში) მნიშვნელოვნად შეანელეს ოქროს მარაგის შესყიდვა, რამაც მოთხოვნა შეამცირა. ინდოეთსა და ჩინეთში ძვირფას ლითონზე მოთხოვნა საკმაოდ პასიური გახდა, რადგან მყიდველები შემდგომ გაიაფებას ელოდებიან.

სტუ-ს პროფესორის **ნოდარ ფოფორაძის** შეფასებით, ოქროს ღირებულებაზე სულ სხვა ფაქტორები ახდენს გავლენას, თუმცა როდესაც საქმე საქართველოს ბაზარს ეხება, მთავარი გამოწვევა სწორედ საერთაშორისო ფასებზე სრული დამოკიდებულებაა.



„მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასი მკვეთრად არ იკლებს, თუმცა მცირე ბიჯებით დაღმასვლის ტენდენცია შეინიშნება. ვფიქრობ, იანვრის დასაწყისში მდგომარეობა დასტაბილურდება. საერთო ჯამში, მკვეთრ ცვალებადობას და დიდ რყევებს აღარ ველი.

რადგან მოპოვება მატულობს, გარკვეული პერიოდი ფასის კლების ტრენდი შენარჩუნდება, თუმცა მოგვიანებით ისევ მატება გვექნება. მოკლედ, პერიოდული კლებისა და ზრდის ტენდენციები გაგრძელდება, მაგრამ მკვეთრი ვარდნა ან სწრაფი ნახტომი მოსალოდნელი აღარ არის. თუ რაიმე ახალი გლობალური კატასტროფა არ მოხდა, ოქროს ფასი საბოლოოდ დასტაბილურდება. თუ მსოფლიო ბაზარზე ოქრო კიდევ გაიაფდება, ფასი ჩვენთანაც ავტომატურად დაიწევს“, – განაცხადა **ნოდარ ფოფორაძემ.**

საქართველოში ცდილობენ ძვირფას ლითონებზე სტაბილური ფასი შეინარჩუნონ, რათა მომხმარებლისთვის ყველაფერი თვალში საცემი არ იყოს. **„ზარაფხანას“** აღმასრულებელი დირექტორის **თორნიკე სამხარაძის** თქმით, კომპანიას ნაკეთობები ბოლო 6 თვეა არ გაუძვირებია.

„მსოფლიოში როცა ძვირდება ოქრო, ძვირდება ჩვენთვის, თუ იკლებს, იკლებს ჩვენთანაც. ამას ჰქვია მწარმოებლებისთვის „მტკიცე ფასი“. ჩვენი მომხმარებლისთვის კი ეს „მტკიცე ფასი“ არ იზრდება. დაახლოებით ექვსი თვეა ჩვენს ნაკეთობებზე ფასი არ გაგვიზრდია. აქ გარკვეული როლი ითამაშა იმ მარაგმა, რომელიც ჩვენს კომპანიას გააჩნდა. ვცდილობთ, რომ მომხმარებელმა ფასის ეს მკვეთრი ნახტომი არ იგრძნოს თავის თავზე, თუნდაც მეორე დღეს და თუნდაც ერთი თვის შემდეგ.

მაგალითად, თუკი ჩვენ ოქროს ფასი გაგვეზარდა დღეს და დასტაბილურდა ორი თვის შემდეგ, ჩვენი მომხმარებელი ამ ცვლილებას ვერასდროს ვერ გაიგებს, ისე ჩაივლის“, – განაცხადა **თორნიკე სამხარაძემ.**

ბოლო ვაჭრობის შედეგად, 1 უნცია ძვირფასი ლითონის ფასი დღიურად კიდევ შემცირდა და 3 875 აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ძვირფასი ლითონის ფასი ერთ თვეში 3.67%-ით არის შემცირებული. მიუხედავად აღნიშნული კლების ტენდენციისა, წლიურად ოქროს ფასი 0.41%-ით არის გაზრდილი, მაგრამ ეს მონაცემი მალე საპირისპირო მიმართულებით შეიცვლება.

რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს, ამ დროისთვის 1 გრამი 999 სინჯის ოქროს ფასი საქართველოში 340 ლარი ღირს, 750 სინჯის – 255 ლარი, ხოლო 585-სინჯიანი ძვირფასი ლითონის ფასი 199 ლარია.


ბექა დანელია

მიწაზე დაბრუნება

ანუ ეკონომიკის მკაფიო ალგებრა

ჩვენს საწერ დაგბასთან ვგივართ და ვფიქრობთ: „გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და განი და“. ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვწერეთ პოეგიასა და პროგაგე, კლასიკურსა და მოდერნისტულ-პოსტმოდერნისტულგე, ამაღლებულსა და ცათმიწევნილგე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, „იქ დაბრუნდები ციდანა, ცაში ასულხარ სიდანაც“, ანუ საბოლოო და გარდაუვალი მაინც მიწაგე დაბრუნებაა!

ამ ფიქრებს ალგვიბრავს ანგორ აბრალავას წიგნი „ეკონომიკისა და ბიგნესის გლობალურ-ინოვაციური პროგლემები“, რომელიც ახლახან გამოვიდა სტამბიდან და საღებავი ჯერ კიდევ არ შეშრობია.



> **ორიოდე სიტყვა თავად ავტორზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა. აბრალავა ათეული წლეგია, ეკონომიკის გულისგულ საკითხებს იკვლევს.** 2005 წელს გამოვიდა მისი „ეროვნული ეკონომიკა და გლოგალიზაცია“; სწორედ მისი მოწადინეგითა და რედაქტოროგით გამოიცა „გერმანული ეკონომიკური სასწაულის“ შემოქმედ **ლ.ერჰარდის** წიგნი „კეთილდღეობა ყველასათვის“ (2011); მანვე 2014 წელს გამოსცა მონოგრაფია „ეკონომიკისა და გიზნესის გლოგალურ-ინოვაციური პროგლემები“. ამიტომაც აღნიშნული მონოგრაფიის მეორე შევსეგული და დაზუსტეგული გამოცემა სრულიადაც არ ყოფილა ქუხილი მოწმენდილ ცაზე.

ამ გამოცემის რედაქტორია ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი **გურამ ჯოლია,** რეცენზენტები – პროფესორები **გადრი გეჩგაია** და **თამარ ქობლიანიძე.**

აქვე ითქვას:

მონოგრაფია ასახავს და კიდევაც იკვლევს საზოგადოებრივი პროგრესისა და წინსვლის განმსაზღვრელ იმ პროცესს, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკურ ენაზე გლობალურ-ინოვაციური პროცესი ჰქვია; აქვე ნაჩვენებია ის პარამეტრები, რომელთა საზღვრებშიც მოქმედებს ეგ პროცესი; ნაჩვენებია ამ მოძრაობის თანამდევი წინააღმდეგობანი, ხელისშემშლელი თუ წამახალისებელი მომენტები; გათვალისწინებულია საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ვითარებანი; გაანგრეგულია საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, ნაჩვენებია ეროვნულ ეკონომიკათა შესაგამისი სტრატეგიების აგების გზები, გათვალისწინებულია ინოვაციათა დანერგვა-გამოყენებისას მოსალოდნელი რისკები.

ეჭვი აღარ ჩნდება: ამგვარი ფართო სპექტრიანი ნაშრომი დიდად გამოადგებათ როგორც სპეციალისტ-ეკონომისტებს, ისე სტუდენტებს, ფართო მკითხველ საზოგადოებას, რადგან ნარკვევთა ეს კრებული ამაღლებს ეკონომიკური აზროვნების დონეს; იწვევს ეკონომიკური გონის მიძრა-მოძრას, აჩქარებს აზროვნების ამ მიმართულებით სვლას. ჯერ მარტო ის რადა ღირს, რომ მეცნიერი მშვენივრად ადგენს და განმარტავს ნოვაციისა და ინოვაციის სხვაობას, აზუსტებს ამ აქტუალურ ტერმინ-ცნებებს (44-45): „ის გამოგონება თუ აღმოჩენა, რომელიც ჯერ კიდევ არა არეალიზებული გაზარზე, მხოლოდ სიახლეა და არა – ინოვაცია. ინოვაცია არის ის აღმოჩენა, რომელიც უკვე გაზარზეა რეალიზებული“ (45). ამას მოსდევს საკითხის ძიებისა და განჩხრეკის გოლო ფაზა – შესაგამისი ეკონომიკური ფორმულის (ლიტერატურაში მას შეესაგამება აფორიზმი) ჩამოყალიბება: **ინოვაცია არის სამეცნიერო მიღწევის კომერციული რეალიზაცია** (47).

ამის მერე გაშლილია მსჯელობა, თუ რომელ ქვეყანაში როგორაა ნოვაცია-ინოვაციის საქმე დაყენებული და ნათქვამია, რომ „ინოვაციური საქმიანობის მასშტაგურობით საქართველო 149-ე ადგილზეა და ამ მხრივ 500-ჯერ ჩამორჩება ფინეთს, 140-ჯერ – სლოვენიას და ა.შ. (49).

საგანგებო მსჯელობაა გაშლილი გლობალიზაციის მთავარ ამ მონაპოვარზე და სახელმწიფოთა მცდელობაზე, დანერგონ ინოვაცია. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველო აქაც მაჩანჩალა ქვეყნების რიგში აღმოჩნდა (51-57).

საერთოდ, საკითხების ამოწევისა და კრიტიკული ანალიზისას მკვლევარი სამართლიანად ამოდის იქიდან, რომ „თანამედროვე ეკონომიკის არსებითი მნიშვნელობის თანამგზავრი გლობალიზაციაა“ (13). ამიტომაც კვლევისას მუდმივად ახსოვს ეს ფაქტორი და ამას ჯეროვნადაც ითვალისწინებს.

ჩვენი ეკონომისტი-ავტორი ოპტიმისტია. მას სჯერა, რომ „თანამედროვე რეალობისა და საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია მივიღოთ წესრიგის თეორიისა და ორგანიზაციის ფუძემდებლური, აპრობირებული კონცეპტუალური მიდგომები“ (16). მისი აზრით, ეს დიდი საქმე კი ძირითადად უნდა გაკეთდეს უმაღლეს სასწავლებლებში, რამდენადაც სწორედ აქ არისო დაუნჯებული დიდი სამეცნიერო პოტენციალი (13-14).

ქართველი პროფესორი იხსენებს ნობელიანტი ჯოზეფ სტიგლიცის შეკითხვას – რატომ იქცა გლობალიზაცია – ამდენი სიკეთის მომტანი – ამდენი უბედურების თავწყაროდ? – და ცდილობს თავისი შეფასებები წარმოადგინოს დასმული შეკითხვის პასუხად. საგულისხმოა, რომ ამ დროს იგი ითვალისწინებს მსოფლიო მეცნიერთა აზრებსაც და საქართველოს კონკრეტულ ეკონომიკურ სპეციფიკასაც (17-18).

სპეციალისტი მკაფიოდ გამოყოფს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის უმთავრეს მიმართულებებს, რომლებზეც უნდა გამახვილდეს მკვლევართა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ყურადღება. ესენია: **სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა, ეკონომიკური დემოკრატია, ინოვაცია, გლობალიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, ეკონომიკის ჰუმანიზაცია-ჰარმონიზაცია, ეკონომიკური წესრიგიანობა, ფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება** (18).

რაკი წიგნი ძირითადად ეკონომიკური პროგრესის პრობლემას ეხება, ავტორს აუცილებლად უნდა გამოეყო კვლევის მთავარი ორიენტირი.

ასეცაა და იგი აცხადებს: **„საზოგადოებრივ პროგრესს ორი უმთავრესი ფაქტორი განსაზღვრავს – ინოვაცია და მისი გავრცელების გლობალურობა“** (23).

შემდეგ მითითებულია, თუ რამდენად უპასუხებდა წარსულში ამ ამოცანას საქართველო. ნათქვამია: „ჩვენმა ქვეყანამ ჯეროვნად უპასუხა XX საუკუნის ინდუსტრიალურ გამოწვევებს. ჩამოყალიბდა სათანადო განათლების სისტემა, რომელმაც დასაგამი მისცა ქართული საინჟინრო სკოლების შექმნას ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, სამთო და ქიმიური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკურ და სხვა დარგებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ დიდი და მაღალგანვითარებული ქვეყნების ფუფუნებაა. მართლაც რომ გასაოცარი და საკვირველია ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ასეთი რამის შექმნა და მისი უზრუნველყოფა ადგილობრივი საკადრო რესურსით“ (27).

მაშასადამე, მკვლევარი ნათლად ხედავს ეკონომიკურ წარსულს, რაც იმისი საწინდარია, რომ ასევე ნათლად დაინახავს მომავალსა და სამომავლო პრობლემებსაც და აქ შეუძლებელია, არ მოგვაგონდეს ლაიბნიცის შეგონება: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

და აი, წარსულის პოსტამენტზე შემდგარი და მომავლის განმჭვრეტი მეცნიერი წარმოადგენს აუცილებლად გადასაწყვეტ პრობლემათა ნუსხას:

> **1. მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, სხვა საარსებო საშუალებგითვ;**
>
> **2. ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;**
>
> **3. ენერგეტიკულ-სანედლეულო კრიზისის დაძლევა;**
>
> **4. საექსპორტო პოტენციალის გასაძლიერებლად ქვეყნის ჩაგმა მსოფლიო მეურნეობაში;**
>
> **5. უმუშევრობის დაძლევა;**
>
> **6. კომუნიკაციის განვითარება;**
>
> **7. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია;**
>
> **8. თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა (27).**

მოსაწონია მკვლევრის მახვილი თვალი. ის ხედავს იმას, რასაც ბევრი მეცნიერის ხედვა დაუძაბუნდებოდა: სუსტი და წაქცეული ქვეყანა იმიტომ კი არაა სუსტი და წაქცეული, რომ ეკონომიკურად სუსტია, არამედ სწორედ იმიტომ, რომ საკუთარ იდეურ-სამეცნიერო მიღწევებს ვერ იყენებს. ავტორი მიუთითებს: 1990-იან წლებში ჩვენში შეიქმნაო მნიშვნელოვანი გამოკვლევები როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ დარგებში, ოღონდ ქვეყნის უძლურების გამო ვერ დაინერგაო (28).

ავტორის თვალმახვილობის მოდასტურეა მისი დასკვნა: **ჩვენი საზოგადოება გამოირჩევა ეროვნული და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონით** (29).

ამაზე ძველთან ერთად მეტყველებს უახლესი კონკრეტული ფაქტები: ბევრი პიროვნება ღირსყვეს მაღალ თანამდებობებზე დანიშვნისა, მაგრამ მათ კორუფციის ვნება ვერ დაძლიეს და ამჟამად ციხეებში იმყოფებიან.

ამაზე მკაფიო და ნათელი მაგალითი წარმოუდგენელია!

მკვლევარმა წარმოადგინა სამომავლოდ გადასაწყვეტ პრობლემათა მთელი ნუსხა, მაგრამ იცის, საგოლოო სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფომ, ოღონდ როგორ? და აი, ამაზეც მიუთითებს:

> **პრიორიტეტთა ფორმირებისათვის აუცილებელია შემუშავდეს გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალური მოდელი** (31).

ავტორი მშვენივრად ხსნის, თუ რად ხდება, რომ „განვითარებულ ქვეყნებს აღარ აინტერესებთ სხვა ქვეყნების ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესი“ (85), ოღონდ არ მოჰყავს მეტყველი კონკრეტული მაგალითი. კერძოდ, საქართველოს „მტერმა“ რუსეთმა აქ შემოსვლიდან (1921) სამ-ოთხ წელიწადში ელექტროსადგურებითა და ქარხნებით მოჰფინა ქვეყანა, ხოლო „მეგობარმა“ ამერიკამ 40 წლის განმავლობაში ერთი ასანთის ქარხანაც არ აგვაშენებინა!

ავტორმა ასევე თეორიულად მშვენივრად აგვიხსნა, რომ „გლობალიზაციამ შეიძლება კაცობრიობა ერთნაირად შეიყვანოს ჩიხში და ასევე ერთიანად გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდან“ (94). წიგნში მინიშნებულია ისიც, რომ კრიზისი და ემბარგო ამა თუ იმ ქვეყნის ამა თუ იმ დარგს აზიანებს, ოღონდ არაფერია თქმული იმაზე, რომ ზოგჯერ კიდევაც შველის მას. ესე იგი, „ორგემაგე“ ხასიათით გამოირჩევა. კერძოდ, რუსეთს რომ შეუზღუდეს თვითმფრინავის ნაწილების მიყიდვა, ამან ის გამოიწვია, რომ სასწრაფოდ განვითარდა ამ ქვეყანაში თვითმფრინავის დეტალთა წარმოება და დღეს ეს სახელმწიფო საკუთარ შესანიშნავ თვითმფრინავებს აგებს.

ბევრი ძიებისა და მრავალთა მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია საბოლოო დასკვნა: **„დღეს არსებულ არც ერთ ეკონომიკურ მოდელს არ ძალუძს რეალობის ახსნა და პროგნოზირება. ამის გამო ახალი მოდელის მოფიქრებაა საჭირო“** (128-129).

აქ უნდა გავავლოთ ერთი სასიამოვნო პარალელი:

რუსთველს ახასიათებს შემდეგი – სტროფის წინა სამ ტაეპში საუბრობს რაიმეზე, ხოლო მეოთხეში იძლევა ამ ნამსჯელის სხარტ ფორმულას, ანუ აფორიზმს, რაც დიდი ეფექტის მომტანია. რაღაც ამდაგვარი შევნიშნეთ ჩვენი მკვლევრის შემოქმედებაშიც. თავისი საუბრების გოლოს ისიც ცდილობს ნამსჯელის განზოგადებას, ფორმულირებას. აი, მაგალითად, 192-ე გვერდზე მსჯელობს იმაზე, თუ რაა მეწარმეობა და რა – გიზნესი. გოლოს იძლევა ფორმულა – აფორიზმს:

„ყველა მეწარმეობა გიზნესია, მაგრამ ყველა გიზნესი როდია მეწარმეობა“.

კიდევ ერთი მაცდური ლიტერატურული პარალელი უნდა გავავლოთ. მკვლევარი გრძანებს:

> **„ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება ყოველთვისაა საჭირო ამა თუ იმ ფორმითა და დოზით. ეს არცაა საკამათო, პრინციპულია ჩარევის დოზის საკითხი, ვინაიდან სწორედ აქედან გამომდინარეობს ადამიანის მთავრობაზე დამოკიდებულებისა თუ თავისუფლების ხარისხი“ (176).**

როგორ არ მოგვაგონოს ამან თომას მანის მითითება მწერლებისადმი: „დოსტოევსკი, ოღონდ – ზომიერად!“

პროფესორ **ანგორ აბრალავას** ნაშრომს „ეკონომიკისა და გიზნესის გლობალურ-ინოვაციური პროგლემები“ – ჩვენი კულტურული საზოგადოებრიობა სიამოვნებით მიიღებს და დიდი ინტერესით გაეცნობა.

სოსო სიგუა,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

მურმან თავდიშვილი,
პროფესორი, „ვეფხისტყაოსნის“ პრემიის ლაურეატი.



ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თეა ფარულავა ავსტრიიდან გვატყობინებს

ვინ გამორთო მაცივრები ევროპაში?!

2026 წლის 11-12 ოქტომბრის ღამეს საფრანგეთში 700-მდე სურსათის მაღაზიაში ჰაკერებმა მაცივრები გათიშეს. თავდამსხმელებმა შეცვალეს ციფრული პარამეტრები, რომლებიც ტემპერატურას არეგულირებდა და გალღობის ციკლს აკონტროლებდა. სავაჭრო ობიექტების მესვეურებს მაცივრებსა და საყინულეებში შენახული უამრავი პროდუქტის გადაყრა მოუწიათ. ზოგ მაცივარში ტემპერატურამ 50 გრადუსს მიაღწია; ისე რომ მარტო საკვები კი არა, სამაცივრე მოწყობილობაც დაზიანდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოძიება დაიწყო.

ფრანგული ინციდენტი ჯერ გამოძიებული არ იყო და 2 ნოემბერს ასეთივე შეტევა ევროპის სხვა 9 ქვეყანაშიც (ბელგიაში, ესტონეთში, ფინეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში, შვედეთში) მოხდა. ამჯერად თავდამსხმელი მხოლოდ სურსათის მაღაზიებით არ შემოიფარგლა. საფრანგეთის სისხლის სამსახურის (**EFS**) სამ რეგიონულ განყოფილებაში მაცივრების მუშაობის რეჟიმი შეიცვალა. ამ დაწესებულებებში ინახება სისხლის პროდუქტები, რომლებიც პაციენტისთვის გადასასხმელად და ფარმაცევტული წარმოებისთვის გამოიყენება. ფრანგული ხელისუფლების ცნობით, სისხლის ბანკის თანამშრომლებმა მიიღეს შეტყობინებები (ამ მაცივრებს დამატებითი დამცავი სისტემა ჰქონდათ) და პროდუქტები დროულად გადაიტანეს უსაფრთხო ადგილზე. ამ შემთხვევაში არაფერი დაზიანებულა და სისხლის შეგროვება-დისტრიბუცია შეუფერხებლად გაგრძელდა.

ეს შემთხვევები კიბერუსაფრთხოების მზარდ მასშტაბებსა და ახალ ასპექტებს წარმოაჩენს. რამდენადაც ფიზიკური ინფრასტრუქტურა სულ უფრო მეტად უკავშირდება ციფრულ ქსელებს და ხდება დისტანციურად მართვადი, კიბერშეტევების შედეგები შეიძლება გასცდეს მონაცემთა ბაზებს და საბანკო ბარათებს. მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ისეთი სისტემების მუშაობას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვების შენახვას, სამედიცინო მარაგების დაცვასა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების გამართულ ფუნქციონირებას. ხომ მძიმე სანახაობა იქნება ერთ დღეს ქალაქის ყველა სურსათის მაღაზიაში არაფერი რომ არ დაგვხვდეს, რაც მაცივარში ინახება. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე შედეგებს მოიტანს გადასასხმელი სისხლის დეფიციტი.

მაცივარი გამათბოზლად გადააქციეს, როგორ შეძლეს ეს?!.

დიდი სუპერმარკეტების გაგრილების სისტემები, როგორც წესი, ელექტრონული კონტროლისა და ცენტრალიზებული მონიტორინგის პლატფორმების მეშვეობით იმართება. ეს ძალიან მოსახერხებელია; ერთ ადამიანს შეუძლია დისტანციურად რამდენიმე დიდი ობიექტის ტემპერატურა აკონტროლოს, პარამეტრები შეცვალოს, ავტომატური გალღობის პროცესი დაგეგმოს, გამოავლინოს ტექნიკური ხარვეზები და მართოს აღჭურვილობა.

მსგავსი ტექნოლოგია მნიშვნელოვან სარგებელს იძლევა: ის ამცირებს საოპერაციო ხარჯებს, აუმჯობესებს ენერგოეფექტიანობას და აადვილებს საჭირო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას დიდ ობიექტებში. თუმცა, როგორც ვნახეთ, როდესაც ეს სისტემა ინტერნეტს უკავშირდება და ხელმისაწვდომი ხდება დისტანციური მომსახურების ქსელების მეშვეობით, შესაძლოა, ის კიბერთავდასხმის სამიზნედაც იქცეს.

ამ ინციდენტების დროს, თავდამსხმელებმა ტემპერატურის რეგულირებისა და გალღობის პროცესების ციფრული პარამეტრები შეცვალეს. გალღობა მაცივრისთვის ჩვეულებრივი პროცესია, გაგრილება დროებით წყდება, რათა სათავსო დაგროვილი ყინულისგან გათავისუფლდეს; ამიტომ ამგვარმა ცვლილებამ შესაძლოა დაუყოვნებლივ არ მიიპყროს მომსახურე პერსონალის ყურადღება. ისე, რომ თავდამსხმელებს არ დასჭირვებიათ მაცივრების ფიზიკურად დაზიანება ან სუპერმარკეტის მთავარ კომპიუტერულ სისტემაში შესვლა; მათ აღჭურვილობის მართვის ციფრული სისტემის მანიპულირება მოახერხეს.

აქამდე კიბერუსაფრთხოება ასოცირდებოდა კომპიუტერების, კონფიდენციალური ინფორმაციის, ფინანსური ტრანზაქციებისა და მონაცემთა ბაზების დაცვასთან. მაგრამ გარკვა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებულ ციფრულ სისტემებზე, რომლებიც ფიზიკურ პროცესებს მართავენ. ციფრული სისტემები მართავენ ისეთ დარგებს, როგორიცაა ელექტროენერგიის განაწილება, წყლის დამუშავება, ტრანსპორტი, სამრეწველო წარმოება, სურსათის შენახვა და ჯანდაცვა. ტექნოლოგიას, რომელიც ამ პროცესების მონიტორინგისა და მართვისთვის გამოიყენება, ზოგადად ოპერაციული ტექნოლოგია (OT) ეწოდება. ჩვეულებრივი საინფორმაციო ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ინფორმაციის დამუშავებასა და შენახვას ემსახურებიან, ოპერაციული ტექნოლოგია პირდაპირ გავლენას ახდენს ფიზიკური აღჭურვილობის ფუნქციონირებაზე.

რადგან სამრეწველო სისტემები სულ უფრო მეტად უკავშირდება კორპორაციულ ქსელებს, ღრუბლოვან პლატფორმებსა და დისტანციური წვდომის სერვისებს, ციფრულ და ფიზიკურ უსაფრთხოებას შორის ზღვარი იშლება. კომპიუტერულ სისტემაში არსებულმა ხარვეზმა შესაძლოა ფიზიკურ სამყაროში სერიოზული შედეგები გამოიღოს. სურსათის მაღაზიებზე და სისხლის საწყობებზე თავდასხმა ამის ნათელი მაგალითია. მაღაზიის მაცივრის მართვის სისტემის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტების გაფუჭება და ფინანსური ზარალი. ფარმაცევტულ საწყობში დაზიანებულმა მაცივარმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ისეთ მედიკამენტებს, რომლებიც ტემპერატურული რეჟიმის მკაცრ დაცვას საჭიროებენ. საავადმყოფოსა თუ სისხლის ბანკში კი ამ სისტემის დაზიანების შედეგები შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე იყოს. ამრიგად, პრობლემა მხოლოდ მაცივრებით არ შემოიფარგლება როცა საქმე ეხება იმ ურთიერთდაკავშირებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას, რომელზეც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაა დამოკიდებული.

ვინ და რა მიზნით აკეთებს ამას?

თავდასხმები შესაძლოა უკავშირდეს კრიმინალურ საქმიანობას – მაგალითად, ფულის გამოძალვის მცდელობას ან კომერციული ოპერაციების შეფერხებას. ასევე შესაძლებელია, საქმე გვქონდეს იდეოლოგიურად მოტივირებულ ჯგუფთან, რომელიც ცდილობს ყურადღება მიიქციოს, ან საჯარო ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობა შეარყიოს.

არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე მტერი სახელმწიფოს ხელი ერიოს ამ საქმეში; რადგან კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე კიბერშეტევა შეიძლება იყოს უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ქაოსის შექმნას.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა **კრისტოფ ჰანსენმა** სუპერმარკეტებზე თავდასხმა ევროპის სურსათის მიწოდების ციკლის დარღვევისა და ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის შელახვის მცდელობად შეაფასა.

ყველაზე ხმამაღალი განაცხადი კი საფრანგეთის ხელისუფლებამ გააკეთა. ჟან-ნოელ ბარომ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 9 ნოემბერს პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ოქტომბერში სურსათის მაღაზიებზე განხორციელებული კიბერშეტევების უკან ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსი დგას და, რომ ამის დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება არსებობს. საფრანგეთის ხელისუფლებამ ირანს ჩარლი ებდო (2023) და 2024 წლის ოლიმპიადის დროს ჩადენილი მტრული ქმედებებიც გაუხსენა. ფრანგები ავირებენ, რომ დამნაშავეთა სანქცირების საკითხი ევროკავშირის დონეზე გადაწყვიტონ.

16 ნოემბერს ევროკომისია გეგმავს საგარეო საქმეთა საბჭოს გამართვას, სადაც ევროპაზე კიბერშეტევასაც განიხილავენ. „თუ დამნაშავეების იდენტიფიცირება მოხერხდება, სანქციები მკაცრი იქნებაო“, თქვა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კაია კალასმა. ევროკავშირი და დაზარალებული ქვეყნები გამოძიებას ისევ აგრძელებენ.

ევროკავშირი აქამდეც ძალიან სერიოზულად უდგებოდა კიბერუსაფრთხოების საკითხს და არსებობს არაერთი რეგულაცია (ქსელისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების დირექტივა 2 (**NIS2**), კიბერმდგრადობის აქტი, კრიტიკული სუბიექტების მდგრადობის დირექტივა) რომელიც სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ეს საკანონმდებლო ჩარჩო მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ კანონმდებლობა უსაფრთხოების გარანტია ვერ იქნება.

ბევრი სამრეწველო ობიექტი კვლავ ძველ აღჭურვილობას იყენებს, აქვს შეზღუდული ტექნიკური მხარდაჭერა, არა აქვს დისტანციური წვდომის სისტემის სათანადო დაცვა. მცირე ბიზნესებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და არ ჰყავდეთ კვალიფიციური კადრები კიბერუსაფრთხოების სათანადო სტანდარტის შესანარჩუნებლად.

ამ საქმის პროფესიონალები აღნიშნავენ, რომ ბოლოდროინდელი თავდასხმებისგან რამდენიმე გაკვეთილის სწავლა შეიძლება; აუცილებელია დისტანციური წვდომის სისტემის დაცვა, ქარხნული პაროლების შეცვლა, მოძველებული აღჭურვილობის განახლება, კრიტიკული ოპერაციული სისტემების გამიჯვნა ზოგადი კორპორაციული ქსელებისგან, გარე მომსახურების მიმწოდებლების რეგულარული შემოწმება, დამოუკიდებელი მონიტორინგისა და სარეზერვო სისტემების უზრუნველყოფა. სწორედ დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემამ გამოაცხადა განგაში, როცა საფრანგეთის სისხლის სამსახურის მაცივრებში ტემპერატურამ მოიმატა და პერსონალმა დროულად მოახერხა რეაგირება. არ ვიცი, აქვთ თუ არა საქართველოში, **სისხლის შემნახველ ორგანიზაციებს** ასეთი უსაფრთხოების სისტემები...

სულ უფრო მეტად ურთიერთგადაჯაჭვულ სამყაროში, ფიზიკური სისტემების დაცვაც, რომლებზეც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაა დამოკიდებული, კიბერუსაფრთხოებას უკავშირდება. სამწუხაროდ, გაირკვა, რომ სოციალური ქსელის თუ ინტერნეტბანკის ანგარიშის გატეხა, უწყინარ ხუმრობად შეიძლება მოგეჩვენოს, თუ შენი ოჯახის წევრს ოპერაციის შემდეგ სისხლის გადასხმა დასჭირდა და სისხლის ბანკზე ჰაკერულ-ტერორისტული შეტევის გამო, სისხლის მარაგი გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

თეა ფარულავა,
ავსტრია, ვენა.



პირველად ქართულ-ჩინური ურთიერთობის ისტორიაში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინვესტიციების სააგენტოს ორგანიზებით, ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენის (China International Import Expo _ CIIE 2026) ფარგლებში, ქართულ და ჩინურ კომპანიებს შორის B2B შეხვედრები პირველად გაიმართა.

სააგენტოს ინიციატივით, გამოფენაზე ქართული პროდუქციის წარდგენას საქმიანი შეხვედრების ფორმატიც დაემატა, რომლის მიზანი ქართველ მწარმოებლებსა და ჩინელ მყიდველებს შორის პირდაპირი ბიზნესკავშირების დამყარება და საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებაა.

ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, **ირაკლი ნადარეიშვილმა** გახსნა. მან მონაწილეებს საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები გააცნო და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ინვესტიციების სააგენტოსა და ჩინურ ელექტრონული კომერციის კომპანია JD.com-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU) გაფორმდა. სააგენტოს მხრიდან დოკუმენტს ხელი თავმჯდომარემ, **მიხეილ ხიდურელმა** მოაწერა. მისი განცხადებით, B2B შეხვედრების ორგანიზება ქართული კომპანიებისთვის ჩინეთის ბაზარზე ახალი შესაძლებლობების შექმნას ემსახურება.

„ჩინეთი ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია. წელს პირველად, ინვესტიციების სააგენტოს ინიციატივით, CIIE-ის ფარგლებში ქართულ და ჩინურ კომპანიებს შორის პირდაპირი ბიზნესშეხვედრები გავმართეთ. ჩვენი მიზანია, ქართველ მწარმოებლებს არა მხოლოდ პროდუქციის წარდგენაში დავეხმაროთ, არამედ ხელი შევუწყოთ ჩინელ პარტნიორებთან კონკრეტული შეთანხმებების მიღწევასა და გრძელვადიანი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში“, – აცხადებს **მიხეილ ხიდურელი.**

B2B შეხვედრების ფარგლებში ქართულმა კომპანიებმა ჩინელ იმპორტიორებს, დისტრიბუტორებსა და საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებს საკუთარი პროდუქცია წარუდგინეს. მხარეებმა მიწოდების პირობები, ჩინეთის ბაზრის მოთხოვნები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ღვინის, სასმელების, თხილის, დაფნის ფოთლისა და ტანსაცმლის სექტორების წარმომადგენლები. ინვესტიციების სააგენტოს ორგანიზებითა და თანადაფინანსებით, საქართველო CIIE 2026-ზე 37 ქართული კომპანიითა და სამი თემატური პავილიონით არის წარმოდგენილი. ქვეყანა გამოფენაში უკვე მეცხრედ მონაწილეობს. გამოფენა შანხაიში იმართება.

ქართული საოჯახო მარანი ნიუ-იორკის გამოფენაზე

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელმა 11 საოჯახო მარანმა აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში – RAW Wine NYC მიიღო მონაწილეობა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქართული მარნების გამოფენაში მონაწილეობა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო მარნების ღვინოების ცნობადობის გაზრდას აშშ-ის ბაზარზე და ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია. მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან აშშ-ში 821 ათას ლიტრამდე ღვინოა ექსპორტირებული, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 3%-ით აღემატება. აშშ-ში ქართული ღვინის წარდგენას ქართველმა მეღვინეებმა მხარდაჭერა ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოსგანაც მიიღეს.



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული მარნები მიმდინარე წელს **RAW Wine**-ის გამოფენებში სხვადასხვა ქვეყანაშიც მონაწილეობდნენ.

RAW Wine (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების საერთაშორისო გამოფენაა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებს აერთიანებს. ღონისძიების ორგანიზატორია ცნობილი ფრანგი ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეგეერონი. წელს ნიუ-იორკში გამოფენა მეათედ გაიმართა. საიუბილეო ღონისძიებაში მსოფლიოს 18 ქვეყნის 120-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა.

ქართველი მეღვინეები მერანოს ფესტივალზე

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია იტალიაში, მერანოს ღვინის საერთაშორისო ფესტივალში, Merano Wine Festival 2026-ში მონაწილეობდა.

ფესტივალი, რომელსაც 35-წლიანი ისტორია აქვს, ერთერთი გამორჩეული საერთაშორისო ღონისძიებაა ღვინის ინდუსტრიაში. იგი ყოველწლიურად აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღვინის მწარმოებლებს, დარგის ექსპერტებს, ჰორეკა სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს.

წელს ფესტივალში 23 ქვეყნის 1000-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. ქართული კომპანიების წარდგენა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ქართული ღვინის მრავალფეროვნების, ხარისხისა და უნიკალური მეღვინეობის ტრადიციების საერთაშორისო აუდიტორიისთვის გასაცნობად, ასევე ახალი საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად და საექსპორტო ბაზრებზე ქართული ღვინის ცნობადობის გასაზრდელად. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, მერანოს ღვინის ფესტივალის ფარგლებში, ქართული ქვევრი, როგორც იუნესკო-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ქალაქ მერანოს ისტორიულ ცენტრში დაიდგა.



სიახლე მთის ტრასების სამყაროში...

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთის ტრასების სააგენტოს (MTA) განახლებული ვებგვერდი MTA.SKI სატესტო რეჟიმში იწყებს მუშაობას.

პირველად სააგენტო ელექტრონულ ბილეთებს საკუთარ პლატფორმაზე გაყიდის. 2026 წლის 20 ნოემბრიდან აბონემენტების ინტერნეტით შეძენა მხოლოდ სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე MTA.SKI-ზე იქნება შესაძლებელი. ბილეთები ასევე გაიყიდება სამთო კურორტებზე მდებარე სალაროებსა და პარტნიორ ობიექტებში.

ელექტრონული პლატფორმა კურორტებზე მიმდინარე პირობების, სათხილამურო არეალების, რუკებისა და აბონემენტების შესახებ ინფორმაციას ერთ ოფიციალურ სივრცეში აერთიანებს. განახლებული ვებგვერდი მომხმარებელს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის გუდაურის, ბაკურიანის, მესტიისა და გოდერძის შესახებ. ინტერაქციული რუკების საშუალებით მომხმარებლები შეძლებენ, ნახონ, რომელი ტრასა და საბაგიროა გახსნილი, გაეცნონ სათხილამურო არეალებს, ტრასების მდებარეობას, სიგრძესა და სირთულეს. პლატფორმაზე ასევე ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ამინდის, თოვლის საფარის, აბონემენტებისა და შეთავაზებების შესახებ. პირდაპირი ტრანსლაციის კამერებით დამსვენებლები შეძლებენ, თვალი ადევნონ კურორტებზე არსებულ ვითარებას, შეარჩიონ სასურველი სასრიალო არეალი და ვიზიტი წინასწარ დაგეგმონ.

ვებგვერდზე მომხმარებლები გაეცნობიან უსაფრთხოების წესებსაც და, საჭიროების შემთხვევაში, უშუალოდ პლატფორმიდან შეძლებენ 112-თან დაკავშირებასა და დახმარების თხოვნას. 2026-2027 წლების ზამთრის სეზონზე ახალი ციფრული ტექნოლოგიები სამაშველო სამსახურშიც დაინერგება. ინციდენტების შესახებ მონაცემები ელექტრონულ სისტემაში აისახება. მაშველები პლანშეტებით აღრიცხავენ შემთხვევის ადგილს, დაშავებულის მდგომარეობის პირველად შეფასებასა და გაწეულ დახმარებას. მთის ტრასების სააგენტო 2026-2027 წლების ზამთრის სეზონს ოთხივე კურორტზე 2026 წლის 20 დეკემბერს გახსნის.

პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა შვიდ წლამდე პატიმრობად დაუჯდა

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე ერთი პირი დააპატიმეს.

„კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა უკანონოდ მოიპოვა და მობილურ ტელეფონში ინახავდა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველ ვიდეოს, რაც უკანონოდ გავრცელა“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. დაკავებულს ბრალდება წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **„პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა“,** – აცხადებენ უწყებაში.

იმერეთშის დავას „ქურდულ სამყაროს“ წევრებს აგვარებინებდნენ

სამართალდამცველების მიერ ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით დაკავებულები (ოთხი პირი), კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, ორ მოქალაქეს შორის არსებული პირადი და ფინანსური დავის მოგვარებაში ჩაერთნენ და სადავო საკითხები ე.წ. „ქურდული ტრადიციების“ შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულები პირადი სარგებლის მიღების მიზნით, კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებაში სისტემატურად ერთვებოდნენ. ისინი მოდავე მხარეებთან ერთად აწყობდნენ ე.წ. „ქურდულ გარჩევებს“ და ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ იღებდნენ ე.წ. „ქურდულ გადაწყვეტილებებს“. დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში კი მოქალაქეებს ფიზიკური ანგარიშსწორებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ. დანაშაული 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ტყე ისევ ნადგურდება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირების 17 ფაქტი გამოავლინა. სამართალდარღვევები გამოვლინდა აჭარაში, სამეგრელოში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

შუახევის, სენაკის, მარტვილის, წალენჯიხის, აბაშის, წყალტუბოს, ტყიბულის, ხარაგაულის, ბორჯომის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებმა უკანონოდ მოიპოვეს სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე. ასევე დადასტურდა მოპოვებული ხე-მცენარეებისგან დამზადებული მორებისა და საშეშე მერქნის სატრანსპორტო საშუალებებით უკანონო გადაზიდვის ფაქტები. სამართალდარღვევების შედეგად, ჯამში, ამოღებულია დაახლოებით 20 კუბური მეტრი საშეშე მერქანი და 30 ერთეული მრგვალი ხე-ტყე (მორი). თითოეულ სამართალდარღვევაზე გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. შუახევში გამოვლენილი 20 ერთეული დაუფირნიშებელი წიწვოვანი სახეობის მორის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებას გადაეგზავნა. 2026 წლის 10 თვის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით უკანონო ტყითსარგებლობის 1 266 ფაქტია გამოვლენილი.

სპორტული წრის მასწავლებელი სექსუალურად ძალადობდა!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2000-2001 წლებში, თბილისში მდებარე ერთ-ერთ სკოლაში, ბრალდებულმა, რომელიც იყო სპორტული წრის მასწავლებელი, არაერთხელ დაამყარა სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი მოსწავლესთან – იმ დროს 8-9 წლის ასაკის მქონე არასრულწლოვანთან.


ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილით (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.





კობა კობალაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ცერემონიას დაესწრო

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2026 წლის გამოსაშვებ ცერემონიას – „Grad Ceremony 2026“ დაესწრო.



ღონისძიებას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და კანცლერი **ვახტანგ წივწივაძე,** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია,** სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი საპატიო სტუმრები, უნივერსიტეტის **რექტორი, ლექტორები და კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ.**

გამოსაშვები ცერემონია უნივერსიტეტის რექტორის, **კახაბერ კორძაიას** მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. კურსდამთავრებულებს, ასევე, მიმართეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ **ზვიად გაბისონიამ** და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა **კობა კობალაძემ.**

კობა კობალაძემ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დასრულება მიულოცა, წარმატება და წინსვლა უსურვა.

„თქვენს წინ არის უდიდესი ცხოვრებისეული გზა, სადაც ხიდებად უნდა იყოთ ერთმანეთისთვის. თქვენს უკან კი ყოველთვის იქნება – დიდი ინტელექტუალური გამოცდილებისა და ეროვნულობით აღსავსე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც ნებისმიერ თქვენს გამოწვევაში, თავის კურსდამთავრებულებთან ერთად, თქვენს გვერდით იქნება. გისურვებთ წარმატებას, წინსვლას და, რაც მთავარია, შეგრძნებას, რომ თქვენ ხართ ღირსეული შვილები თავისუფალი, ძლიერი და ამბიციური სამშობლოსი!“ – მიმართა **კობა კობალაძემ** კურსდამთავრებულებს.

ცერემონიის ფარგლებში უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. კურსდამთავრებულებს კი დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ. **ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ულოცავს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულებას და მომავალ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებებს უსურვებს.**



ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაული აბაშაში

აბაშის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული „აბაშობა -2026“ საზეიმოდ გაიმართა. დღესასწაულის ფარგლებში შედგა „საპატიო აბაშელის“ წოდების მინიჭების ცერემონია.

„გილოცავთ სახალხო დღესასწაულს „აბაშობას“! ეს დღე ჩვენი ქალაქის ისტორიის, ტრადიციების, კულტურისა და იმ ადამიანების პატივისცემის დღეა, ვინც საკუთარი შრომითა და ღვაწლით ქმნის აბაშის წარმატებულ მომავალს, რომლებმაც თავიანთი პროფესიული საქმიანობით, მიღწევებითა და საზოგადოებრივი ღვაწლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნისა და მშობლიური კუთხის განვითარებაში, განსაკუთრებით ვულოცავ თითოეულ აბაშელს, ვისი სიყვარულით, ერთგულებითა და შრომითაც ჩვენი მუნიციპალიტეტი ვითარდება და წინ მიიწევს, ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ,“ – აღნიშნა თავის გამოსვლაში აბაშის მერმა **გიგა გაბელაიამ.**

„საპატიო აბაშელის“ წოდება მიენიჭათ:

სპარტაკ ქოზულიას – საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ქართული კულტურის ამაგდარს, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის პრემიების, ასევე ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიის – „ოქროს ფრთის“ ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს ქართულ პუბლიცისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მშობლიური კუთხის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

პახაგერ (პახა) პაჭარავას – ქართული ფეხბურთის გამორჩეულ წარმომადგენელს, რომელიც 1984 წელს აბაშის „ავტომობილში“ თამაშობდა. სხვადასხვა დროს იცავდა საქართველოს, კვიპროსის, თურქეთისა და გერმანიის საფეხბურთო კლუბების, ასევე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი და წარმატებული მწვრთნელი. ხელმძღვანელობდა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, საფეხბურთო კლუბ „სამტრედიას“, ზუგდიდის „ოდიში 1919-სა“ და თბილისის „დინამოს“. „საპატიო აბაშელის“ წოდება მიენიჭა სპორტული მიღწევებისა და აბაშის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

დეკანოზ კონსტანტინე პაჭარავას – აბაშის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრისა და გულეიკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარს, ღვთისა და წმინდა ეკლესიისადმი ერთგულ მსახურსა და სულიერ მოღვაწეს, მკვლევარს, წიგნების – „ესე სოფელი კეთილ არს“ და „სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორიის“ ავტორს, აბაშის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემქმნელს. წოდება მიენიჭა აბაშის ისტორიული წარსულის კვლევაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასა და მშობლიური კუთხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.



აღსანიშნავია, რომ მამა კონსტანტინეს თაოსნობითა და ძალისხმევით, სოფელ გულეიკარში მოეწყო საინტერესო, ავთენტური მუზეუმი, რომელიც ადგილობრივი ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

„აბაშობის“ დღესასწაულზე მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული მრავალწლიანი, ერთგული და ნაყოფიერი საქმიანობისთვის აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ:

გულნარა გეგეჭკორი – სკოლამდელი აღზრდის სფეროში მრავალწლიანი და წარმატებული საქმიანობისთვის, მაღალი პროფესიონალიზმის, საქმისადმი ერთგულებისა და მომავალი თაობების აღზრდისა და განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

მარგალიტა რატიანი – გაუწყინარის საბავშვო ბაღის აღმზრდელი, სკოლამდელი აღზრდის სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და მომავალი თაობების აღზრდისა და განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

მარინე პარაპეტოვი – აბაშის ხელოვნების სკოლის დამაარსებელი და პედაგოგი, 50 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისა და უნიციპალიტეტში სახელოვნებო განათლების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

სასოფლო ფოლკლორული ანსამბლი „სუჯუნა“ – დიდი ლოტბარის, ლომინ გუგუშვილის მიერ დატოვებული მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის გაგრძელების, ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნების და თაობებისთვის გადაცემისთვის.

მამუკა პიზირია – ა(ა)იპ აბაშის საფეხბურთო კლუბ „ზანას“ მწვრთნელი, მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მრავალწლიანი ნაყოფიერი სამწვრთნელო საქმიანობისა და მომავალი თაობების აღზრდაში გაწეული დაუღალავი შრომისთვის.

მზია ჯიქია – ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობის“ თანამშრომელი, ქალაქის სისუფთავეზე, იერსახესა და კეთილმოწყობაზე ყოველდღიური, თავდაუზოგავი ზრუნვისთვის.

სოსო ჩაგანავა – ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობის“ თანამშრომელი, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერი პროფესიული საქმიანობისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „ჰარირა“ – ქართული ხალხური სიმღერისა და ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებაში ათწლეულების განმავლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ეროვნული თვითმყოფადობის ერთგული მსახურებისთვის.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის თითოეულ მათგანს მრავალწლიანი თავდადებული საქმიანობისთვის, პროფესიონალიზმისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.



აბაშის მერი გიგა გაბელაია აბაშის „ოქროს გასაღებს“ გადასცემს ახალ საპატიო აბაშელებს.



უკვე სამი მედალი

დაკარის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდმა ქვიშის ჭიდაობაში სამი მედალი მოიპოვა.

ლუკა მახარაძემ (70 კგ) და **ნურადინ მუსტაფაევმა** (90 კგ) ვერცხლი აიღეს. ერთი დღით ადრე კი საქართველოს პირველი მედალი ამ თამაშებზე **დავით მძევაშვილმა** (60 კგ) მოუტანა, რაც უკვე გაუწყეთ კიდეც.

მახარაძემ და მუსტაფაევმა ჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს. ნახევარფინალში მახარაძემ ირანელ კიარაშ ტორაბის სძლია, მუსტაფაევმა კი ბრაზილიელი ალან სმიტ დე სოუზა ბეზერა დაამარცხა. ორივე ფინალურ შეხვედრაში აზერბაიჯანელმა მოჭიდავეებმა გაიმარჯვეს. ლუკა მახარაძე ტუნარ გულიევთან დამარცხდა, ნურადინ მუსტაფაევმა კი შეხვედრა ელგუნ კარიმლისთან დათმო.

ვახტანგის მე-7!

სამგზისტთა საიუბილეო – 50-ე მუნდიალს 100 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით ტაშკენტმა უმასპინძლა და ჯვაროსნებმა მძაფრ ბრძოლაში 6 მედალი მოიხვეჭეს – 4 ოქრო და თითო-თითო ვერცხლ-ბრინჯაო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 58 კილოში მოჭიდავე **ვახტანგ ჩიდრაშვილის** მიღწევა, რომელმაც ტოგოელ, კორეელ, მაროკოელ, რუს და ბელარუს მეტოქეთა ძლევით მე-7(!) ტრიუმფი გამოჭედა.

გუნდის ლიდერს კარგად აუბეს მხარი შემდეგმა პარტნიორებმა: ოქრო – ავთო მუკბანიანი (64 კგ), ჯაბა თურქია (71 კგ), უჩა ტაბატაძე (98 კგ). **ვერცხლი** – ელენე ქებაძე (80 კგ). **ბრინჯაო** – ბექა ძაგანიშვილი (88 კგ).

უზბეკურ სარბიელზე წარმატება მოიპოვეს საქართველოს ნაკრების სხვა წევრებმაც: **პარასამბო – ოქრო.** გიორგი გამჯაშვილი (79კგ), რაც პირველია ქართული პარასამბოს ისტორიაში. **საბრძოლო სამბო – ვერცხლი.** არჩილ გოგოლაშვილი (98 კგ). **ბრინჯაო.** გიორგი ეგნატაშვილი (88 კგ), რამინ ყიფშიძე (98 კგ) და სოფია ბაღიშვილი (50 კგ). ეს ქართველ ქალთა პირველი მსგავსი მედალია.



ზედიზედ მე-11 ფინალი!

საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ნიდერლანდებს დაძაბულ ბრძოლაში 24:19 სძლია და ფინალში ზედიზედ მე-11-ედ ითამაშებს.

პრაღაში, „მარკეტა სთედიუმზე“ ანგარიში საქართველომ დებიუტშივე გახსნა. პრაქტიკულად პირველსავე შეტევაში, ჩვენს მორაგბეებს კონტაქტის არეში დიდი უპირატესობა ჰქონდათ, ფაზებით თითქმის 30 მეტრი დაფარეს და საბა მერებაშვილმა ლელო შეიტანა, ლუკა ჭაკუამ კი გარდასახა. სპასუხოდ ნიდერლანდებმა მოლით პირველად შემოგვიტია, მათი შეჩერება აშკარა ჯარიმით მოვახერხეთ და საჯარიმო ლელოსთან ერთად, გიორგი ხონელიძის სინმინითაც დავისაჯეთ.

თამაში რომ განახლდა იქვე მძლავრი მოლი უკვე საქართველომ დააყენა, 5-მეტრიანში რაქიდან დროებით ჰავბექის პოზიციაზე გადასულმა ჭაკუამ შეუტია და ლელოთი ლიდერობა მალევე დაგვიბრუნა. 26-ე წუთზე კიდევ ერთხელ დავრჩით კაცნაკლული. ამჯერად სინმინით ბართლომე ხამაშურიძე დაისაჯა, თუმცა ლელო კვლავ იქით გავიტანეთ. ტაიმის მიწურულს, რამდენიმე ფაზის შემდეგ, გიორგი ბერძენიშვილმა მძლავრად შეუტია, ორი მბოჭავი არ შეიმჩნია და საქართველოს მესამე ლელო გაიტანა, რომელიც ჭაკუამ გარდასახა – 19:7.

მეორე ტაიმი საქართველომ კარგად დაიწყო, ფაზები აკინძა, მერე ბურთი ფრთაზე ჩაათამაშა, სადაც მათე ბერუაშვილი ბოლო მბოჭავს სისწრაფეში გაექცა და ლელო გაიტანა. თითქოს, ეს გარდამტეხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიდერლანდებმა მოახერხა ინიციატივის დაუფლება, ორი ლელო გაიტანა, რომელთაგან ერთი გარდასახა და საფინალო სასტვენამდე 3-4 წუთით ადრე, სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა. გაწითლებულ დროზე მეტოქემ კიდევ ერთხელ მოახერხა ჩვენს 22-ში ფეხის მოკიდება, თუმცა საქართველომ 5-მეტრიანში თავი დაიცვა და 24:19 გამარჯვებით, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ზეიმობს რაჭა!

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, გველ-შვავას სახელოგის პარკში, გულშემატკივრებმა, 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გრინჯაოს პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში – მირიან მაისურაძეს სამზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

სპორტული ღონისძიება სიმბოლურად ახალ საჭიდაო დარბაზში გაიმართა, სადაც ასევე მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლმა „რაჭამ“ და ცეკვის ანსამბლმა „ორბმა“. ღონისძიებას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე,** პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე,** ონის მუნიციპალიტეტის მერი – **სერგი ხიდეშელი,** საკრებულოს თავმჯდომარე – **გაჩანა მარკოიშვილი.**



ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებმა მადლობის სიგელებთან ერთად სპორტსმენს ფულადი ჯილდო **10 000 ლარის** ოდენობით რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის – **გოჩა ენუქიძის** ინიციატივითა და სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერით გადასცეს. გაცნობებთ, რომ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მსოფლიო პირველობაზე ონელმა მირიან მაისურაძემ (92კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



ვინცა ვართ, ესა ვართ...

ჩვენ უკვე გაგაცანით საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების კანდიდატთა სია ერთა ლიგის მოახლოებული დასკვნითი შეხვედრების წინ, რომელშიც ტრავმირებული ხვიჩა კვარაცხელიასა და ოთარ კიტეიშვილის სახით ამოუვსები ნაპრალია გაჩენილი. ვითარებას ამძიმებს პირველ მატჩში გიორგი ქოჩორაშვილის დისკვალიფიკაციაც.

როგორც ირკვევა, არაა გამორიცხული ზეგ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე აუნაზღაურებელი დანაკლისით ითამაშოს უნგრეთმაც, რომლის კაპიტანსა და ლივერპულის ლიდერს **დომინიკ სობოსლაის** მუხლი აწუხებს.

სხვათა შორის, მადიარებს საკადრო პრობლემები ისედაც ჰქონდათ, თუმცა თბილისში გამომგზავრებამდე მათ ბანაკში კარგი ამბებიც მოხდა, რადგან გამოჯანმრთელება მოასწრეს **შალაიმ და ვარგამ.**

რაც შეეხება სტუმართა იტალიელ თავკაცს მარკო როსის, მისი მონოლოგი ფრთხილ ოპტიმიზმად შეგვიძლია მივიჩნიოთ: **„მართალია, მასპინძლებს შეუცვლელი კვარა არ ეყოლებათ, მაგრამ გასათვალისწინებელია მისსავე პოზიციაზე მოთამაშე შესანიშნავი ფეხბურთელის გიორგი კვერნაძის ფაქტორი.**

მთლიანობაში საქართველო სახიში მეტოქეა, განსაკუთრებით – შინ და მგონია, რომ პირველი მატჩისგან განსხვავებით ამჯერად უფრო შემტევი ტაქტიკა ექნება“.

მას შემდეგ, რაც ბათუმი თბილისში სპაერთან დამარცხდა – 2:3, ფინიშამდე 4 ტურით ადრე უკიდურესად დაიძაბა ვითარება კრისტალებეთ ეროვნული ლიგის სატურნირო ცხრილის ლიდერთა ჯგუფში: ბათუმი, იბერია – 59-59, დინამო – 58, რუსთავი – 56 ქულა.

დაბოლოს: თბილისის დინამოდან კლუბისა და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ჯაბა კანკავა** წასულა. ვიმედოვნებთ, მასთან არავინ ჩაჭრილა!

მამუს შემოდგომა

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ფორვარდმა ატლანტაში ნამდვილი ფეიერვერკი მოაწყო – თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართულმა სანდრომ პარკეტზე 32 წუთი გაატარა და თავისი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი, გადამწყვეტი როლი ითამაშა. მამუკელაშვილმა დიდი პროდუქტიულობა აჩვენა და 23 ქულა, 8 მოხსნა (1 შეტევაში, 7 დაცვაში), 3 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა.

ქართველმა კალათბურთელმა 8-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ორქულიანები (2/5) და საჯარიმოებიც (4/4) მაღალი სიზუსტით გამოიყენა. სანდროს საოცარ თამაშსა და სარგებლიანობაზე ციფრებიც მეტყველებს: მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში „ლეიკერსმა“ მეტოქეზე 20 ქულით მეტი ჩააგდო (+20 პლუს-მინუს კოეფიციენტი), რაც მთელ გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო!



სანდროს ამ ბრწყინვალე პერფორმანსის ფონზე, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ „ატლანტა ჰოუქსს“ შანსი არ დაუტოვა და მძიმე ბრძოლაში ღირსეული გამარჯვება მოიპოვა – 124:114. კალიფორნიელებს ავადმყოფობის გამო **ოსტინ რივზი** აკლდათ, თუმცა შემადგენლობას დაუბრუნდა **ლუკა დონჩიჩი,** რომელმაც სამაგალითო სამუშაო შეასრულა (32 ქულა, 8 მოხსნა, 10 პასი). „ლეიკერსიდან“ ორმაგი დუბლი მიითვალა **უოლკერ კესლერმაც** (21 ქულა, 10 მოხსნა), ხოლო **კოლინ სექსტონმა** სკამიდან 18 ქულა ჩააგდო.

ამ გამარჯვებით „ლეიკერსმა“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, ხოლო შედეგად 10 მოგებითა და 2 მარცხით არა მხოლოდ დასავლეთ კონფერენციაში გაიმყარა ლიდერობა, არამედ სრულიად **NBA**-ში საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გახდა!

აღმოსავლური ტურნეს ფარგლებში ლოს ანჯელესელების მორიგი გაჩერება მილუოკიში იქნება, სადაც სანდროს განსაკუთრებული მატჩი ელის — „მილუოკი ბაქსი“ ხომ სწორედ ის კლუბია, სადაც ქართველმა ფორვარდმა 2021-2022 წლებში თავისი **NBA**-ს დებიუტი აღნიშნა და პირველი 2 სეზონი გაატარა.

ტაბამიდან – პოლიტიკაში

ძიუდოს ლეგენდა ტედი რინერი საფრანგეთის პრეზიდენტის თანამდებობას უმიზნებს, რადგან 3-გზის ოლიმპიურმა, აგრეთვე მსოფლიოსა და ევროპის უთვალსავგზის ჩემპიონმა 2027 წლის მარტში დანიშნულ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წარადგინა.




„დუმილი და უმოქმედობა უპასუხისმგებლობა იქნება იმის ფონზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო დროს ხდება. მესმის ის ბრაზი, რომელსაც ზოგი ადამიანი თავისი რიტორიკითა და უდიდესი ნეგატივით აძლიერებს. ეს აღშფოთება იმათგან მოდის, ვისაც უკვე აღარ აქვთ მოტივაცია ან დიდი მიზნებისკენ სწრაფვის სურვილი. სამშობლო, რომელმაც მომცა შესაძლებლობა დიდი ოცნებები ამესრულებინა, უკიდურესად დაყოფილია და დღეს არავინ გვთავაზობს გულწრფელ იმედს. დიახ, მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან, მე კი სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კენჭს ვიყრი, რათა ვაჩვენო, რომ საფრანგეთი უძლეველია!“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის

ნემო ბურჭულაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ქართველ საზოგადოებას ამ მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით.



გარდაიცვალა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი ნემო ბურჭულაძე

80 წლის ასაკში ცნობილი პოლიტიკოსი ნემო ბურჯულაძე გარდაიცვალა, – ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ სოციალურ ქსელში მისმა თანამებრძოლმა რევაზ კემულარიამ გაავრცელა.

ნემო ბურჭულაძე საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი იყო.

1990-1991 წლებში იგი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ნემო ბურჭულაძე ასევე იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი. ნემო ბურჭულაძე 1946 წლის 23 თებერვალს კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში დაიბადა.

მოკრძალებული და გულმხურვალე პატრიოტი

საქართველოს პარლამენტის სახელით მწუხარებას გამოვხატავ 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჯულაძის გარდაცვალების გამო.

მისი გარდაცვალება კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ მძიმე პერიოდს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე განვითარებულმა დაპირისპირებამ ჩვენი ისტორიის არაერთი ტრაგიკული ფურცელი დაწერა და მრავალი ადამიანის პირად ტრაგედიად იქცა.

ნემო ბურჭულაძე ჩვენს მეხსიერებაში დარჩება, როგორც მოკრძალებული და გულმხურვალე პატრიოტი. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს და ახლობლებს. უფალმა განუსვენოს, მშვიდობით.

შალვა პაპუაშვილი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე



ორი წლის წინანდელი განზრახ მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ორი წლის წინ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2024 წლის 5 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში, საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ შეძენილი ხელყუმბარა წინასწარ დაამონტაჟა და აღნიშნულ ადგილზე ორი მოქალაქე განზრახ შეცდომაში შეყვანის გზით მიიყვანა.

მათი მისვლის შემდეგ ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. აფეთქების შედეგად ერთ-ერთი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე სხეულის მძიმე დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად ბრალდებული 9 ნოემბერს თბილისში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოდან ასამდე უცხო ქვეყნის მოქალაქე გააძევეს!

გოლო დღეების განმავლობაში მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, პაკისტანის, იორდანიის, სომხეთის, ტაილანდის, ტაჯიკეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, კონგოს, ნიგერიის, სუდანის, უგანდის, ფილიპინების, ჩინეთის, ერაყის და სხვა სახელმწიფოების, ჯამში, 91 მოქალაქე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

მიმდინარე წელს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქვეყნიდან გაძევებულია 3700-ზე მეტი პირი.

მხილებულია უცხოელი თაღლითობის ჯგუფი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად, თაღლითურად დაუფლების ბრალდებით უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავეს, კიდევ ერთ პირს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების მიზნით სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავეს.

კერძოდ, ბრალდებულები უცხო ქვეყნის მოქალაქეს ინოვაციური პროგრამის შექმნასა და მისი ამოქმედების შემდეგ მიღებული მოგების განაწილებას დაჰპირდნენ, რის შედეგადაც მოტყუებით დაეუფლნენ მის კუთვნილ 150 000 აშშ დოლარს. ამასთან, ბრალდებულებმა უცხო ქვეყანაში მოქმედი ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელი მოტყუებით დაარწმუნეს, რომ 40 000 ევროს სანაცვლოდ კომპანიისთვის სარეკლამო ვებგვერდს შექმნიდნენ და საძიებო სისტემებში მოწინავე ათეულში მოხვედრას უზრუნველყოფდნენ.

თანხის მიღების შემდეგ ბრალდებულებმა დაზარალებულთან ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყვიტეს და მის კუთვნილ 40 000 ევროს თაღლითურად დაეუფლნენ. სამართალდამცველებმა ორი პირი მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს, ერთ პირს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. თაღითებს 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.



პროფესიული ერთგულების მაგალითი

ბატონ რომან შაქარიშვილისადმი მიძღვნილი პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის ხსოვნის წერილი

მძიმეა იმ ადამიანის დაკარგვა, რომლის ცოდნა, გამოცდილება და პროფესიული ერთგულება განსაკუთრებული მაგალითია.

ვემშვიდობებით ჩვენს პედაგოგს აკადემიკოსს რომან შაქარიშვილს – გამორჩეულ ექიმს, მეცნიერს, რომლის სახელი და საქმიანობა ქართული ნევროლოგიის განვითარების განუყოფელი ნაწილია.

მისი უშუალო მონაწილეობით, სამეცნიერო საქმიანობითა და მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობით, ქართულმა ნევროლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. განუზომელია მისი წვლილი დარგის განვითარებაში, ახალი სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერებაში, ახალგაზრდა თაობების პროფესიულ ზრდასა და სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებაში.

დიდი ადამიანები მხოლოდ სიცოცხლით არ ფასდებიან, არამედ იმ კვალით რომელსაც ამ სამყაროში ტოვებენ.

არიან ადამიანები, რომელთა წასვლით მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლე კი არ სრულდება, არამედ დიდი ცოდნის, გამოცდილების, იდეებისა და მომავლის ხედვის განსაკუთრებული სამყაროც გვაკლდება.

ბატონი რომანი სწორედ ასეთი ადამიანი იყო – გამორჩეული არამარტო ღრმა სამედიცინო განათლებით და პროფესიული ცოდნით, არამედ ფართო საერთო განათლებით და აზროვნების სიღრმით. ბატონ რომანის ნოვატორული იდეები, არასტანდარტული ხედვა და მუდმივი სწრაფვა სიახლისკენ მის პროფესიულ სახეს განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა.

რომან შაქარიშვილის პროფესიული მემკვიდრეობა მხოლოდ ასობით სამეცნიერო ნაშრომითა და მიღწეული შედეგებით არ განისაზღვრება. ის გაგრძელდება იმ ადამიანებში, რომლებსაც პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობები შეუქმნა და რომელთა ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია არამარტო ქართული მედიცინის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვის.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და მთელ სამედიცინო საზოგადოებას.

მარადიული იყოს მისი ხსოვნა!

თენგიზ ქავთარაძე, ნოდარ გოლოთაშვილი, ზაურ ფხალაძე, მერაბ გურული, ნოდარ მთვარელიძე, ზურაბ ფოჩხუა, კოგა ნარჩემაშვილი, შოთა ასათიანი, თემურ მურღულია სამძიმარს უცხადებენ ნუგზარ ქევხიშვილს სიმამრის

რომან რომანის ძე შაქარიშვილის

გარდაცვალების გამო

სულთათანა

საქართველოს რესპუბლიკა

აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნეირომედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს რომან შაქარიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფართო სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. მუდმივად ნოვატორული მეცნიერული შემართება, მკვლევრის უბადლო გამჭრიახობა, ნეიროსამედიცინო მეცნიერების უნარიანი ორგანიზატორის თვისებები წარმოადგენდნენ იმ მკაფიო მახასიათებლებს, რომლებმაც სამართლიანად მიუჩინა მას საქართველოს კლინიკურ-ნევროლოგიური სამეცნიერო სკოლის უპირობო ლიდერის ადგილი. უაღრესად მნიშვნელოვანია აკადემიკოს რ. შაქარიშვილის როლი ნევროლოგიურ და ნეიროქირურგიულ დარგებში კვლევების მოდერნიზებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც რ. შაქარიშვილი უცვლელად ხელმძღვანელობდა 1989 წლიდან მოყოლებული მთელი 20 წლის განმავლობაში, არაერთგზის იყო აღიარებული საერთაშორისო ნევროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ წამყვან ცენტრად. აკადემიკოსი რ. შაქარიშვილი მოთავე იყო ჩვენს ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო მიმართულებათა განვითარებისა, მათ შორის, ნერვული სისტემის პეროქსიდაციური პათოლოგიის, ვასკულური ეპილეპტოლოგიის, გერონტოდემენტოლოგიის, კლინიკური ნეიროსომნოლოგიის, ნეიროეპიდემიოლოგიისა და ნეიროგერიატრიისა.

აკადემიკოს რ. შაქარიშვილის ხანგრძლივი აქტიური სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მოიცავს ნერვული სისტემის კლინიკური პათოლოგიის მრავალ აქტიურ პრობლემას, რომელიც აშუქებს ცერებროვასკულარულ დარღვევათა, თავის ტვინის სიმსივნურ და ანთებით დაავადებათა, ეპილეფსიის, სისხლძარღვოვანი და დეგენერაციული დემენციების პათოფიზიოლოგიის, სემიოლოგიისა და მკურნალობის საკითხებს, აგრეთვე ახლებურად აყალიბებს და განმარტავს სამეცნიერო შეხედულებებს კლინიკურ ფიზიოლოგიაში, ჰემორეოლოგიაში, ნეიროფარმაკოლოგიაში, ნეიროეპიდემიოლოგიასა და სხვ.

1968 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სამკურნალო საქმის სპეციალობით დამთავრების შემდეგ, რ. შაქარიშვილმა მუშაობა დაიწყო კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში (ამჟამად პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტი) ჯერ უმცროს, შემდეგ თანამიმდევრობით უფროს მეცნიერ თანამშრომლად, კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო 1989 წლიდან კი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

1974 წელს თსსუ-ში რომან შაქარიშვილმა დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდების მოსაპოვებლად, 1988 წელს კი მოსკოვში, სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის ინსტიტუტში – უკვე სადოქტორო დისერტაცია.

იმავე წელს, ერთობლივი კვლევითი სამუშაოს წარმოების მიზნით, იგი მივლინებულ იქნა ქ. ლენინგრადში ა. პოლენოვის სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ, 1980-87 წლებში, სამეცნიერო მივლინებით მოღვაწეობდა ქ. მოსკოვში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის პათოლოგიისა და პათოლოგიური ფიზიოლოგიის ინსტიტუტში.

1993 წელს, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროგრამით, დოქტორი რ. შაქარიშვილი მივლინებული იყო აშშ-ის ქ. ატლანტის ემორის უნივერსიტეტის ნევროლოგიის დეპარტამენტსა და ქ. გეთესტის ჯანდაცვის ეროვნულ ინსტიტუტში.

იმავე წელს, დოქტორი რ. შაქარიშვილი აირჩიეს ახლად დაარსებულ თბილისის კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის რექტორად, ხოლო 1996 წელს მისი, სწავლული მედიკოსის, უკვე პროფესორის ძალისხმევით, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, აღდგა მედიცინის ფაკულტეტი, ხოლო ნევროლოგიის მიმართულების კათედრა დაარსდა პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, რომლის უცვლელი გამგე იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო.

1996-2003 წლებში პარალელურად მუშაობდა საუნივერსიტეტო კლინიკური მედიცინის ხელმძღვანელად, ასევე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტშიც, რომლის ნევროლოგიის სპეციალობის სარეზიდენტო განათლების პროგრამ-დირექტორი გახლდათ.

1999-2004 წლებში, პროფესორი რ. შაქარაშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი და ამავდროულად ნეირომედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხოლო 2001-2009 წლებში – პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2009 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტად.


აკადემიკოს რ. შაქარიშვილის ნაყოფიერი, დიდი მნიშვნელობის მქონე სამედიცინო მიღწევებით აღსავსე პრაქტიკული, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, სათანადოდ იყო დაფასებული როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს მიღმა. 1995 წელს მას პეტრე სარაჯიშვილის, ხოლო 2010 წელს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამეცნიერო პრემიები მიენიჭა. 1996 წელს იგი მეცნიერების დარგში საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი გახდა. 1996 წელს რ. შაქარიშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2000 წელს კი – დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო „ორდენით დამსახურებისთვის“, ასევე ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ მუხაძისა და პეტრე სარაჯიშვილის მედლებით. 1997 წელს დოქტორი რ. შაქარიშვილი გახდა მსოფლიოს საუკეთესო ნევროლოგი და „ოქროს ჩაქუჩის“ მფლობელი.

წლების განმავლობაში რ. შაქარიშვილი იყო ხუთი საერთაშორისო პერიოდული გამოცემის სარედაქციო კოლეგიისა და სამჭოს წევრი, ასევე რვა სამამულო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო სამჭოს წევრი. დასახელებული იყო **MARGUIS**-სა და **Who's Who**-ს საერთაშორისო და „ვინ არის ვინ საქართველოში“ გამოცემებში, 1999 წელს კი აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა იგი „წლის ადამიანად“ დაასახელა.

სამამულო მედიცინის ნევროლოგიის დარგის გამოჩენილი მკვლევრის, აკადემიკოს რომან შაქარიშვილის კალამს ეკუთვნის ოთხ ასეულზე მეტი, უაღრესად საგულისხმო სამეცნიერო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობით დაცული იყო არაერთი დისერტაცია მედიცინის კანდიდატის თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

აკადემიკოს რომან შაქარიშვილის – სახელოვანი სწავლული მედიკოსის, მკვლევარის, პედაგოგისა და ქვეყნის ღირსეული შვილის ნათელი სახე სამარადჟამოდ დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეებისა და ახლობლების გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილება



რომა შაქარიშვილის გამოსათხოვარი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ცნობილი ქართველი ნევროლოგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის რომან შაქარიშვილის გარდაცვალების გამო.

რომან შაქარიშვილი იყო გამორჩეული, უნიკალური ერუდიციისა და მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე ექიმი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ნევროლოგიის განვითარებას, სამედიცინო მეცნიერებასა და მომავალი თაობების აღზრდას მიუძღვნა.

იგი იყო ქართული ნევროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ პეტრე სარაჯიშვილის ნევროლოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, მისი სამეცნიერო და კლინიკური ტრადიციების გამგრძელებელი. მისმა პროფესიულმა მოღვაწეობამ, მეცნიერულმა ხედვამ და პედაგოგიურმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული ნევროლოგიის ისტორიაში.

1968 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე (1968-1984 წწ.), იყო კლინიკური ნევროლოგიის განყოფილების უფროსი (1984-1989 წწ.), ხოლო 1989 წლიდან დღემდე ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

1996-2018 წლებში გ-ნი რომა ხელმძღვანელობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრას; 2018 წლიდან დღემდე იყო ამავე კათედრის სრული პროფესორი.

1999-2004 წლებში იყო სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი და ნეირომედიცინის ცენტრის ხელმძღვანელი; 1995 წლიდან საუნივერსიტეტო კლინიკური მედიცინის ცენტრის დირექტორი.

რომან შაქარიშვილის სამეცნიერო კვლევების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა ანგიონევროლოგია, ეპილეფტოლოგია, ნეიროგერონტოლოგია, ნეიროონკოლოგია, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პათოფიზიოლოგია, ძილის დარღვევები და დემენტოლოგია. იყო საქართველოში ცენტრალური ნერვული სისტემის თავისუფალრადიკალური პათოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ ფუძემდებელი. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევები ინსულტის ეპიდემიოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის, თავის ტვინის მიკროცირკულაციის რეოლოგიური მექანიზმების, კოგნიტიური დარღვევების პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხებზე. ასევე ახორციელებდა კლინიკურ კვლევებს გაფანტული სკლეროზის, ეპილეფსიის, ნეიროონკოლოგიის, მიასთენიისა და პოლინეიროპათიის მიმართულებით.

პროფ. რომან შაქარიშვილი არის 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 10 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 24 სადოქტორო დისერტაცია. კითხულობდა ლექციებს ნევროლოგიასა და ნეიროქირურგიაში. იყო საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი; სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიების და სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2017 წ. არჩეულ იქნა თბილისის საპატიო მოქალაქედ, 1996 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

აკადემიკოს რომან შაქარიშვილის სახელი და ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ქართული მედიცინისა და ნევროლოგიის ისტორიაში, ხოლო მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მემკვიდრეობა გაგრძელდება იმ ადამიანების საქმიანობაში, რომელთაც მან თავისი ცოდნა და პროფესიული გამოცდილება გადასცა.

„პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.



გაანიჩილეს „ქართული ფილმის“ პრობლემები

კულტურის მინისტრი მაია გითაძე, პირველ მოადგილე მიხეილ პივნაძესთან ერთად, კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ეწვია.

მინისტრი კინოსტუდიის ინფრასტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სამუშაო პროცესის სპეციფიკას გაეცნო.

კინოსტუდიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ხათუნა ხუნდაძესა** და საბჭოს წევრ **მერაბ კოკოჩაშვილთან** გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო კინოსტუდიის მართვასა და ინსტიტუციური ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. **კულტურის მინისტრმა კინოსტუდიის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებს სამინისტროს მხრიდან თანამშრომლობისა და შესაბამისი საკითხების ერთობლივი განხილვის მზადყოფნა დაუდასტურა.**



გამოფენა ომის ვეტერანი მხატვრის ხსოვნას მიეძღვნა

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კოკა კოკალაძე, სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული გიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, აფხაზეთის ომის ვეტერანის, ახლახან გარდაცვლილი ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას დაესწრო. გამოფენა მხატვრის ხსოვნის პატივსაცემად მოეწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის 100-მდე ფერწერული ტილო, მათ შორის პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, რელიგიურ და ომის თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები. ეს მხატვრის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენაა.

ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილი თვითნასწავლი მხატვარი გახლდათ. მან ხატვა 65 წლის ასაკში დაიწყო. იგი მიმდინარე წლის 29 სექტემბერს გარდაიცვალა.

მხატვრობასთან ერთად, ავთანდილ რეხვიაშვილი წარმატებული სპორტსმენიც იყო. იგი გერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი და საქართველოს, უკრაინისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი გახლდათ. წლების განმავლობაში, ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილი თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა, ის კადრების მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილის, ასევე სამხედრო-საზღვაო ძალების კადრების განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობებს იკავებდა.



გათუმი „განდაგანას“ უმასპინძლებს

14-15 ნოემბერს, გათუმი სოფლის ტურიზმის ფესტივალს „განდაგანა“ უმასპინძლებს. ორი დღით, აჭარული სოფლები თავისი ტრადიციებით, კულტურითა და სოფლის ნოგათით ევროპის მოედანზე იქნება წარმოდგენილი.

ფესტივალის ფარგლებში მთავარი აქცენტი აჭარული სამზარეულოსა და ხალხური რეწვის დარგების წარმოჩენაზე გაკეთდება. მოეწყობა სპეციალური კვების კუთხე, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ კერძებს მოამზადებენ, ჩატარდება თიხის, ქარგვის, კულინარიული მასტერკლასები და შეჯიბრებები. ფესტივალის ფარგლებში ასევე მოეწყობა გამოფენა-გაყიდვა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იუბილარია

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი დაარსებიდან 90 წელს აღნიშნავს.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, 1936 წლის 9 ნოემბერს დაარსებული ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელსაც, მოგვიანებით, ფოლკლორის ცენტრი ეწოდა, ათწლეულებია უწყვეტად აგრძელებს ხალხური შემოქმედების მოძიების, კვლევის, შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის მნიშვნელოვან გზას.

ფოლკლორის ცენტრის უნიკალურ არქივსა და ფონდებში დაცულია ქართული ხალხური სიმღერების, საეკლესიო საგალობლების, ზეპირსიტყვიერებისა და სამეცნიერო შრომების ფასდაუდებელი ხელნაწერები, რომელთა გადარჩენასა და მოვლაში თაობების განმავლობაში არაერთმა გამორჩეულმა მოღვაწემ შეიტანა წვლილი.



თბილისი ოპერის ახალგაზრდა მომღერლებს მასპინძლობს

თბილისის ოპერისა და გალეტის თეატრი საერთაშორისო კონკურსს „ოპერა ქრაუნს“ მასპინძლობს. კონკურსში 24 ქვეყნიდან 55 ახალგაზრდა ოპერის მომღერალი მონაწილეობს.

კონკურსი სამ ტურს მოიცავს და მონაწილეებს საერთაშორისო ჟიური შეაფასებს. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცემათ. კონკურსის დასკვნითი ეტაპი საზეიმო გალა კონცერტით დასრულდება, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება.



„მომაჯადოებელი სამეფო ქორწილი“

ქართველი გარიტონის, ზურაბ (ზუტა) ძიძიგურისა და ლიხტენშტეინის პრინცესა მარია იმაკულატას ქორწილი საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ჟურნალმა HELLO!-მ ახალდაქორწინებულთა ფოტოები გამოაქვეყნა და პრინცესას პირველი კომენტარიც გაავრცელა. წყვილი 31 ოქტომბერს ვენაში, წმინდა პეტრეს ეკლესიაში დაქორწინდა. მათი ხუთწლიანი სიყვარულის ისტორია ქორწილამდე გასაიდუმლოებული იყო.

სამეფო ცერემონიაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პატარძლის საქორწინო კაბამ, რომელიც ქართველმა დიზაინერმა შექმნა, ასევე 1926 წელს დამზადებულმა ისტორიულმა „ფარშევანგის“ დიადემამ. ზურაბ ძიძიგურს კი ქართული ტრადიციული ჩოხა ეცვა. ჟურნალთან საუბრისას პრინცესამ აღნიშნა, რომ ზურაბთან თავს კომფორტულად გრძნობს, მათ საერთო ღირებულებები, მოგზაურობისა და კლასიკური მუსიკის სიყვარული აერთიანებთ. მისი თქმით, განსაკუთრებით დაამახსოვრდა მომენტი, როდესაც ზურაბმა მას ყველას თანდასწრებით უთხრა: „ის ჩემი ქალია“ – სწორედ ამ სიტყვებით მოიგო მისი გული.



საქართველოს რესპუბლიკა

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგვგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 711057

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 ნოემბერს